

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის მეთოდების მიმართულება

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი
იურიდიული კომპანია - JMG & Partners

ჟურნალი

სამართლის მთოლემი

№1, 2017

Journal

Legal Methods

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Law, Department of Legal Methods

Prince David Institute for Law

Law Company – JMG & Partners

UDC(უაკ)340

ს-216

რედაქტორები

პროფ. დოქტ. გიორგი ხუბუა

ასოც. პროფ. დოქტ. დიმიტრი გეგენავა

EDITORS

Prof. Dr. Giorgi Khubua

Assoc. Prof. Dr. Dimitry Gegenava

ჟურნალი „სამართლის მეთოდები“, №1, 2017

Journal “Legal Methods”, №1, 2017

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017

Prince David Institute for Law Publishing, 2017

© ავტორები, მთარგმნელები/Authors, Translators, 2017

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი/Prince David Institute for Law, 2017

რედაქტორისგან

ქართული სამართლებრივი სივრცე განებივრებული არაა დიდი რაოდენობის პერიოდული გამოცემებით, მით უმეტეს, ისეთი ჟურნალებით, რომლებიც პრაქტიკისა და იურიდიული მეთოდების სინთეზს მოახდენდა. იურიდიული მეთოდების პრაქტიკული საჭიროების მტკიცება ნამდვილად ზედმეტია, ვინაიდან სამართლის სფეროს მიუხედავად, იგი მთელი იურისპურულენციისთვის საერთოა, ამასთან, სწორედ ის აკავშირებს აკადემიურ ცოდნასა და სამართლის პრაქტიკულ მოქმედებას.

ჟურნალი „სამართლის მეთოდები“ ივანე ჯავახიშვილის სახელმძღვანელო-ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მეთოდების მიმართულების, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტისა და იურიდიული კომპანია - JMG & Partners-ის ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აერთიანებს ორიგინალურ, ქართულ ნაშრომებს, მნიშვნელოვანი სტატიებისა და შრომების თარგმანებს, ცნობილი და საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს.

გამოცემა ერთგვარი მცდელობაა, დაასრულოს ევროპული და ზოგადად, დასავლური სამართლისთვის სრულიად მიუღებელი, ხელოვნური გამიჯვნა სამართლის თეორიასა და პრაქტიკას შორის. თითოეული სტატია, თითოეული ნაშრომი, რომელიც ჟურნალში გამოქვეყნდება ქართული სამართლის განვითარებას, ევროპულ სამართლთან პარმონიზაციასა და კლასიკური თუ თანამედროვე სამართლებრივი აზრის ქართული იურიდიული საზოგადოებისთვის გაცნობის მიზანს ემსახურება.

ჟურნალი განკუთვნილია როგორც მოსამართლეებისა და სამართლის შემფარდებელი პრაქტიკონი იურისტებისათვის, ისე სტუდენტებისათვის. პირველ სემესტრში სტუდენტები სწავლობენ მხოლოდ სამართლის მეთოდების საფუძვლებს, რომელიც მოითხოვს შემდგომ გაღრმავებას, განსაკუთრებით სამართლის დარგობრივი მეცნიერებების შესწავლის პარალელურად.

გამოცემის მიზანია, ნარმოაჩინოს სამართლის კავშირი სხვა-დასხვა მსოფლმხედველობრივ სკოლასთან და მიმდინარეობასთან. თანამედროვე პლურალისტულ საზოგადოებაში ამ კავშირისათვის დამსახურებული კანონზომიერების გაცნობა მნიშვნელოვანია როგორც სამართლის შემფარდებელი იურისტისათვის, ისე მოქალა-ქისათვის. ჟურნალი, ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს

როგორც დამხმარე მასალა სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

გამოცემა ესწრაფვის არა მარტო ინფორმაციის მიწოდებას, არა-მედ ცდილობს, ხელი შეუწყოს სამართლის მეთოდების კრიტიკულ განაზრებას. მით უფრო, რომ სამართლის ინტერპრეტაციის ერთიანი ფარგლების დადგენა განსაკუთრებით პრობლემურია პლურალისტულ საზოგადოებაში.

კანონის ტექსტი არ იძლევა ყველა კითხვაზე მზა პასუხს. ამ მხრივ, იურისტებს ხშირად ადარებენ მზარეულებს. კულინარიული ხელოვნება არ ნიშნავს მხოლოდ რეცეპტების ზედმიწევნით კარგად ცოდნას. კანონის ტექსტის ზუსტი ცოდნა, ასევე, არ ნიშნავს „კარგ“ იურისტობას. გარდა ამისა, იურიდიული ფაკულტეტის კურს-დამთავრებულს უნდა შეეძლოს იმ კაზუსების გადაწყვეტაც, რომელთან შეხებაც მას არ ჰქონია სწავლების პროცესში და რომელსაც ის მუდმივად შეეჯახება პრაქტიკული საქმიანობისას. მხოლოდ განმარტების მეთოდების სრულყოფილი ცოდნა შეიძლება იყოს წარმატებული პროფესიული კარიერის წინაპირობა.

იურიტებს შემთხვევით არ უნდოებენ „განმარტების აკრობატებს“. ნორმის ინტერპრეტაციის პროცესში იურისტს აზროვნების სითამარე სჭირდება. ამავე დროს, ეს არ უნდა ნიშნავდეს თვით-ნებობას. შემთხვევითი არ არის, რომ ნორმის განმარტების მეთოდებიც სისტემატიზებულია და ნებისმიერ „თვითშემოქმედებას“ გამორიცხავს. გამოცემის ერთ-ერთი მიზანია დაგვანახოს ნორმის ინტერპრეტაციის ის მკაფიო ჩარჩოები, რომელიც ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს ეფუძნება. სამართლის შემფარდებელი იურისტი ვერ შეითავსებს სამართალშემოქმედებისა და კანონმდებლის ფუნქციას. ჩვენი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფო და არა „მოსამართლების სახელმწიფო“.

იმედს ვიტოვებთ, გამოცემა საინტერესო იქნება როგორც აკადემიური წრეების, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვის და რაც მთავარია, ნებისმიერი იმ ადამიანისათვის, ვისაც სამართალი, სამართლიანობა და სამართლის პრაქტიკული მოქმედება აინტერესებს.

პროფ. დოქტ. გიორგი ხუბუა

ასოც. პროფ. დოქტ. დიმიტრი გეგენავა

2017 წლის ივლისი

შინაარსი

პერშენევთიკა და კონსტიტუციის ინტერპეტაცია	1
აარონ ბარაქი, პაატა ჯავახიშვილის თარგმანი	
ადამიანური მიზანი და პუნქტი სამართალი.....	12
ლონ ფულერი, მარიამ ბოლლაშვილის თარგმანი	
„პუნქტი სამართლის ტრადიცია“	25
ჯონ მ. ფინისი, დიმიტრი გეგენავას თარგმანი	
„სპარტული ფოლადის“ საქმე.....	31
თამთა პაიჭაძე	
გაერთიანებული სახელმს საქმე – „გენერალური პროგურორი პლეიისა და სავეზის წინააღმდეგ“	39
გიორგი უსტიაშვილი	
საქმე – „როუ უეიზის წინააღმდეგ“.....	45
ბექა ცვარიანი, ვახტანგ სირბილაშვილი	

ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია*

აარონ ბარაქი

პაატა ჯავახიშვილის** თარგმანი

I. პრობლემა

მე მოსამართლე ვარ. კონსტიტუცია ჩემთვის სამოქმედო დოკუმენტია. მე საქმეზე გადაწყვეტილებას მისი ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით ვიღებ. კონსტიტუციის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დოკუმენტის, ტექსტიდან შინაარსის გამოტანა ინტერპრეტაციის პროცესია და კითხვა, რომელიც მიჩნდება, შემდეგში მდგომარეობს: როგორ განმარტავთ კონსტიტუციას? პასუხი მცდარია, თუ ვიტყვით — „სიტყვებს აქვთ მნიშვნელობა, გააკეთე, რაც გინდა პოლიტიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით“. სიტყვებს სწორედ რომ მნიშვნელობა აქვს. სიგარეტი არ არის სპილო. მე მოსამართლე ვარ და არა პოლიტიკოსი. მე არ მაქვს პოლიტიკური დღის წესრიგი. მე არ ვარ ამომრჩეველთა წარმომადგენელი. ეს ჩემი როლი არაა და არც სურვილი მაქვს, სახელმწიფოს თავს მოვახვიო ჩემი სუბიექტური ნება. მე მომეთხოვება ვიმოქმედო გააზრებულად, ობიექტურად, თანმიმდევრულად. არასწორად მიმაჩნია რჩევა — „იფიქრე და იმოქმედე წინდა-ხედულად, პრაგმატულად, გონივრულად“. რას ნიშავს „წინდა-ხედულად“? როდის ვმოქმედებ „პრაგმატულად“?

ასევე, მართებული არ იქნება, თუ ვიტყვი: „ნაიკითხე ტექსტი და გამოიყენე ის“. ტექსტის სწორად წაკითხვისა და გამოყენებისთვის საჭიროა შუალედური საფეხურის გავლა: გაგება. კონსტიტუციის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დოკუმენტის, სიტყვებს, შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეთ. რომელი მნიშვნელობა უნდა ავირჩიო? სიტყვები შეიძლება გამოყენებულ იქნეს განუსაზღვრე-

* თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: Aharon Barak, Hermeneutics and Constitutional Interpretation, Cardozo Law Review, Vol.14, 1993.

** სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი (თსუ), საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი.

ბარაქი, ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია

ლობისა და აბსტრაქციის სხვადასხვა ხარისხით. რომელი ხარისხი უნდა ავირჩიო?

შეიძლება ითქვას, „აირჩიე განუსაზღვრელობისა და აბსტრაქციის ის ხარისხი, რომელიც კონსტიტუციის დამტუძნებელი მამების ჩანაფიქრებს შესაბამება“. მაგრამ რატომ უნდა გავაკეთო ასე? განა ინტერპრეტაციის მიზანი მათი ჩანაფიქრის განხორციელებაა? განა ინტერპრეტაციის მიზანი კონსტიტუციის მიზნების განხორციელებისთვის ხელშეწყობა არაა?

იმისათვის, რომ ვიცოდე, თუ როგორ წავიკითხო კონსტიტუცია, უკეთესად უნდა მესმოდეს ინტერპრეტაციის მნიშვნელობა. რა არის „ინტერპრეტაცია“ და როგორ ხორციელდება ის. მალევე ვხვდები, რომ სხვა ტექსტების კითხვისასაც იმავე პრობლემების წინაშე ვდგები. როგორ იყითხება ხელშეკრულება, კანონი, ანდერძი? იმავე მეთოდით ვკითხულობ კონსტიტუციას, როგორც ანდერძს? განა ყოველთვის არ უნდა გვესმოდეს, რომ „ეს კონსტიტუციაა, რომელსაც განვმარტავთ“? ყველა ალნიშნული დოკუმენტი უნდა განიმარტოს, მაგრამ არსებობს კი მათი წაკითხვის ერთგვაროვანი თეორია?

ალბათ, შემოთავაზება, რომ მე წავიკითხო კონსტიტუცია ისე, როგორც ეს დამტუძნებელმა მამებმა ჩაიფიქრეს, პასუხსაც მოიცავს. განა ანდერძის შემთხვევაში იგივე არაა? – ალბათ, ანდერძი უნდა განიმარტოს ისე, რომ განსვენებულის ნება განხორციელდეს. მაგრამ მე ისიც მაგონდება, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს „ობიექტურად“ და იმ დებულებაზე დაყრდნობით, რომ ერთი მხარის განზრახვას მნიშვნელობა არა აქვს, თუ ის მეორე მხარის მიერ გაზიარებული არ იქნება. ასეთ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ნდობის საკითხიც. და განა, კონსტიტუციის ან კანონის ინტერპრეტაციის დროს არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ნდობა?

ახლა ჩემთვის ცხადი ხდება: მე მჭირდება ინტერპრეტაციის შესახებ თეორია. არა მეტათეორია — თეორია თეორიების შესახებ — არამედ ზოგადად, სამართლებრივი ტექსტის და კონკრეტულად, კონსტიტუციის ტექსტის წაკითხვისთვის გამოსადეგი თეორია.

მოსამართლები, მეცნიერები, იურისტები და საზოგადოება ყოველდღიურად განმარტავენ სამართლებრივ ტექსტებს. მათი დიდი წაწილი უმრავლეს შემთხვევაში ერთსა და იმავე შედეგს აღწევს. კანონი არსებობს სასამართლოების ფარგლებს გარეთაც. ყველა საქმე სირთულით არ გამოირჩევა. არსებობს მარტივი საქმეებიც.

ყველა საქმე უზენაეს სასამართლომდე ვერ აღწევს. უნდა არსებობდეს სამართლებრივ სისტემაში მიღებული იურიდიული ტექსტის ინტერპრეტაციის საერთო მეთოდი.

II. ტექსტი

მე ვიწყებ ტექსტით — განურჩევლად იმისა, ეს ანდერძი, კანონით კონსტიტუციაა. ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ ტექსტს მნიშვნელობა მივცე. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელობა, რომელიც ტექსტს უნდა მივანიჭო, „სამართლებრივი“ მნიშვნელობაა, რომელიც ნორმატიულ მნიშვნელობას გულისხმობს. ინტერპრეტაციისას ჩემი პირველი, ზოგადი წესი ისაა, რომ არ უნდა მივანიჭო ტექსტს ისეთი სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც არ იქნება მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის შესაბამისი. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, უფრო სწორად, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობების ფარგლები, ასახავს ზღვარს არსებული ტექსტის ინტერპრეტაციასა და ახლის შექმნას შორის. ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ტექსტი და მისი მნიშვნელობა. როგორც ინტერპრეტატორებს, შეგვიძლია შევცვალოთ ტექსტის მნიშვნელობის ჩვენეული გაგება, მაგრამ ვერ შევცვლით თავად ტექსტს. სამართლებრივი ინტერპრეტაცია არჩევანის გაკეთების პროცესია იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით შემოფარგლება.

ინტერპრეტაციის ნორმატიული ძალა თავად ტექსტის ნორმატიული ძალიდან გამომდინარებას. სასამართლოს ინტერპრეტაცია ტექსტის ნორმატიულ მნიშვნელობაზე არც მაღლაა და არც დაბლა. ეს არჩევანია ტექსტის სხვადასხვა სიტყვასიტყვით მნიშვნელობას შორის. საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერპრეტაცია არაა მიწის უზენაესი კანონი. სასამართლოს მიერ კონსტიტუციის ინტერპრეტაცია იურიდიულად სავალდებულო არჩევანია კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონის, მნიშვნელობაზე.

III. არჩევანი

თუკი სამართლებრივი ინტერპრეტაცია არჩევანია ტექსტის სავარაუდო სიტყვასიტყვით მნიშვნელობებს შორის, როგორ უნდა გაკეთდეს ეს არჩევანი? არსებობს კი არჩევანი, რომელიც „ჭეშმა-

ბარაქი, ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია

რიტია ტექსტის მნიშვნელობის მიხედვით“?, არსებობს კი მართებული ან მცდარი არჩევანი? ჩემი პასუხი მარტივია: არ არსებობს „ჭეშმარიტი“ ინტერპრეტაცია. არ არსებობს „ჭეშმარიტი“ მნიშვნელობა. არსებობს მხოლოდ „სათანადო“ ინტერპრეტაცია. იურიდიულად სავალდებულო მნიშვნელობებს შორის არჩევანის გაკეთების მრავალი მეთოდი და თეორია არსებობს, და არჩევანი სწორედ ამ თეორიების შესაბამისად უნდა გაკეთდეს. მაგრამ არცერთ თეორიას აქვს პრეტენზია ჭეშმარიტებაზე.

ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან სამართლებრივის გამოყოფის მრავალ მეთოდს შორის არჩევანი თავისთავად ინტერპრეტაციის არჩევანი არაა; იგი ინტერპრეტაციის წესების შესაბამისად არ ხორციელდება. თუკი ჰერმენევტიკის შესახებ სწავლება რაიმეს გვასწავლის, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ჰერმენევტიკას არ შეუძლია მიგვითოთ, თუ რომელი ჰერმენევტიკული მიდგომა უნდა გამოვიყენოთ. არჩევანი სხვადასხვა მეთოდსა და თეორიას შორის პოლიტიკური არჩევანია. ინტერპრეტაციის ყოველი თეორია არაინტერპრეტირებადი განხილვების ლოგიკური შედეგია. არჩევანის გაკეთება არაა მოსამართლის ან მეცნიერის პირადი სავარჯიშო; ეს მოსამართლებისა და მეცნიერების თაობების მიერ მთელი ისტორიის მანძილზე გაკეთებული არჩევანია. ეს არჩევანი სამართლებრივი სისტემის ბუნებას განსაზღვრავს.

არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა, რომელთა შორის არ არსებობს შეთანხმება იმაზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს არჩევანი. ამერიკული სამართლებრივი სისტემა ამის ერთი მაგალითია. შეუთანხმებლობა გამოწვეულია სასამართლო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემებით. ისრაელის სამართლებრივი სისტემა აღნიშნულის მეორე მაგალითია. შეთანხმების მიუღწევლობის მიზეზი ძირითადად შეიძლება ბრიტანული მმართველობის დამოუკიდებელში გადაზიდას უკავშირდებოდეს. მაშინ შემიძლია მე შემოგთავაზოთ ინტერპრეტაციის თეორიებს შორის მართებული არჩევანი დაყოფილი სამართლებრივი სისტემის პირობებში?

a) მიზნობრივი ინტერპრეტაცია

ჩემი ამოსავალი წერტილი კანონის მიზანია. ჩემთვის ყველა კანონს აქვს მიზანი. ეს მიზნები მოიცავენ, მათ შორის, ეთიკურ, სო-

ციალურ და ეკონომიკურ ამოცანებს, რასაც კანონი, როგორც სო-ციალური ინსტიტუტი, უნდა ასრულებდეს. თუ კანონს აქვს მიზანი და თუ რომელიმე კონკრეტულ სამართლებრივ ნორმას აქვს მიზანი, მაშინ ინტერპრეტაცია კანონის მიზნის განხორციელების ინსტრუ-მენტი უნდა იყოს. სამართლებრივი ტექსტის ინტერპრეტაციის ჩემეული თეორიის შესაბამისად, მრავალი შესაძლო ზედმინევნითი მნიშვნელობიდან არჩევანი უნდა გაკეთდეს პრაქტიკულ მნიშ-ვნელობაზე, რომელიც, სხვასთან შედარებით, უფრო მეტად ასახავს ნორმის ტექსტში ჩადებულ მიზანს. სურვილისამებრ, მას შეიძლება „მიზნობრივი ინტერპრეტაცია“ ვუწოდოთ. ამიტომ როგორც ან-დერძის ან ხელშეკრულების ინტერპრეტაციის მიზანია მისი მიზნის მიღწევის ხელშეწყობა, ასევე, კანონისა და კონსტიტუციის ინტერ-პრეტაციის მიზანს მათი მიზნების განხორციელების ხელშეწყობა წარმოადგენს. ეს თეორია ხელს უწყობს წარმომადგენლობითი მმართველობის, ძალაუფლების გამიჯვნის, კანონის უზენაესობის დემოკრატიული იდეების განხორციელებას. რამდენადაც ის ხელს უწყობს საზოგადოების ძირითადი ღირებულებების განხორ-ციელებას, ისე ეხმარება ადამიანის უფლებებსა და სხვა ღირებუ-ლებების დაცვას, რომელთა შესრულება კანონის ფუნქციაა.

ამრიგად, მოცემული ტექსტის ინტერპრეტაციის ობიექტი არჩევანის გაკეთებაა, ტექსტის სიტყვასიტყვით მნიშვნელობებს შორის, და არა ტექსტის ავტორის განზრახვის შესაბამისად. ნორმის მიზანს ფსიქოლოგიური გაგება არ გააჩნია. მას ნორმატიული გაგე-ბა აქვს. ეს არაა რაღაც, რაც შეიძლება „იპოვო“ ან „აღმოაჩინო“ ტე-ქსტში. ეს არის სამართლებრივი კონცეფცია, განყენებულობა, კონ-სტრუქცია, რომელიც ტექსტის გარეთ იქმნება. ამ აბსტრაქციის შექმნის პროცესში ინტერპრეტატორი სრულიად თავისუფალი არაა, მაგრამ ის არც სრულიად შეზღუდულია. მაშ როგორ ყალიბდება მი-ზანი?

b) მიზნის ჩამოყალიბება

სხვადასხვა წყაროს შორის, საიდანაც უნდა იქნეს გაგებული სა-მართლებრივი ნორმის მიზანი, პირველი და ყველაზე მნიშვნელო-ვანი ტექსტის ავტორის განზრახვა, მისი ჩანაფიქრია. აღნიშნული ჩანაფიქრი მიზნის გაგებისათვის საჭირო ინსტრუმენტია. ჩვენ მას შეიძლება „სუბიექტური მიზანი“ ვუწოდოთ. მართებულია გან-

ბარაქი, ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია

ზრახვა, რომელიც უკავშირდება ნორმის მიზანს — ეს ნორმის მთავარი მიზანია. როგორც წესი, აპსტრაქციის სხვადასხვა დონეზე რამდენიმე მიზანი არსებობს. მართებული განზრახვა მიზნად არ ისახავს იმის გაგებას, თუ როგორ გადაწყვეტდა ინტერპრეტაციის საჭიროების წინაშე მდგარი ტექსტის ავტორი ამ პრობლემას. ჩვენ არ ვსვამთ წინააღმდეგობრივ ფაქტობრივ შეკითხვებს. მართებული განზრახვა მიმართულია ავტორის ჩანაფიქრზე თუ რა დასახა მან ნორმის ზოგად და აპსტრაქტულ მიზნად. სამართლის ნორმის მიზანი მხოლოდ „სუბიექტური მიზანი“ არაა. სამართლის ნორმას, ასევე, „ობიექტური მიზნებიც“ აქვს. სწორედ ამ ობიექტური მიზნების მიღწევას ესწრაფის სამართლებრივი საზოგადოება თავისი ნორმებით და ისინი სამართლებრივი სისტემის ღრმა და ძირებული შეხედულებებია. ისინი მოიცავს ღირებულებებსა და პოლიტიკას, რომლებიც საზოგადოების იდენტობას აყალიბებს. მათი საწყისი წარსულშია. ისინი მოსამართლეების თაობებისა და პრეცედენტების საფუძველზე შემუშავდა. ისინი ისტორიისა და ტრადიციების შედეგია. ისინი ასახავენ სამართლებრივი სისტემის გაგებას მისი იდენტობისა და მრავალფეროვნების თაობაზე.

როგორც წესი, სუბიექტური და ობიექტური მიზნები ერთმანეთს შეესაბამება. ჩვეულებრივ, ტექსტის შემქმნელის სუბიექტური მიზანი ხელს უწყობს საზოგადოების ობიექტური მიზნების განხორციელებას. მაგრამ ეს ორი სახის მიზანი უნდა გაიმიჯნოს. ტექსტის შემქმნელს შეიძლება წარმოდგენა არ ჰქონდეს რაიმე ობიექტური მიზნის შესახებ. უფრო მეტიც, მას შეიძლება სუბიექტური მიზანი ჰქონდეს, რომელიც ობიექტურ მიზანთან წინააღმდეგობაში მოდის. მაში რა ურთიერთმიმართება არსებობს ამ მიზნებს შორის?

ამ კითხვაზე „ჭეშმარიტი“ პასუხი არ არსებობს. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, სამართლის სისტემის მიერ მიღებული ან უარყოფილი. მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ ანდერძის შემთხვევაში სუბიექტური მიზანი ყოველთვის დომინირებს, თუ იგი უკანონო არაა. ობიექტური მიზანი მას მხოლოდ ავსებს. თქვენ შეიძლება, ასევე, ამტკიცოთ, რომ ხელშეკრულებებში მხარეთა საერთო სუბიექტური მიზანი დომინანტურია, მაშინ, როდესაც ობიექტური მიზანი გამოიყენება იმ მესამე პირების მიერ, რომელთაც სუბიექტური მიზნის შესახებ ცოდნა არ გააჩნიათ. გარდა ამისა, სუბიექტური მიზნის შესახებ ინფორმაციის არქონამ შეიძლება ობიექტური მიზნისკენ მიმართოს პირი.

როდესაც კანონზეა საუბარი, მეჩვენება, რომ სუბიექტურ მიზანს, რომელიც კანონის ზუსტ სიტყვებშია განმტკიცებული, ობიექტურ მიზანთან მიმართებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს. ეს ისევე შეესაბამება კანონმდებლებლისა და მოსამართლეების ფუნქციების შესახებ ჩვენს ნარმოდგენას, როგორც ძალაუფლების გამიჯვნასთან დაკავშირებული ჩვენი შეხედულებები. თუ კანონმდებელს არ მოსწონს შედეგი, კანონი შეიძლება შეიცვალოს. თუმცა, ობიექტური მიზანი გადამწყვეტ როლს ასრულებს. იგი ურთიერთსანინაალმდეგო სუბიექტურ მიზნებს შორის არჩევანის გაკეთების კრიტერიუმია. ის ქმნის მიზნის შესახებ ძლიერ პრეზუმუციას, და ეს პრეზუმუცია სუბიექტური მიზნის შესახებ მხოლოდ სარწმუნო და დამაჯერებელ მტკიცებულებას შეუძლია დაძლიოს. გარდა ამისა, თუ სამართლებრივ საზოგადოებაში არსებობს ფუნდამენტური ცვლილებები, მათ შორის, კანონებიდან მომდინარე ცვლილებები, სუბიექტური მიზანი შეიძლება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს. სუბიექტურ და ობიექტურ მიზნებს შორის წინაალმდეგობის შემთხვევაში, როცა ობიექტური მიზანი კონსტიტუციის ტექსტშია გამოხატული, სუბიექტურმა მიზანმა შეიძლება კანონის არაკონსტიტუციურობა განაპირობოს.

კონსტიტუციის ინტერპრეტაციისას ამას სუბიექტურ და ობიექტურ მიზნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებისკენ მივყავარ. მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავალ, სასარგებლო იქნება ინტერპრეტაციისას მოსამართლის დისკურსიაზე დაკვირვებება.

c) მოსამართლის დისკურსია

„მოსამართლის დისკურსია“ მოსამართლის უფლებამოსილებაა, კანონის შესაბამისი რამდენიმე ალტერნატივიდან ერთ-ერთი აირჩიოს. ეს განსაზღვრება, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ მოსამართლე არ მოქმედებს მექანიკურად, არამედ აწონის, ასახავს, ამონებს და შეისწავლის. არადა, აზროვნების ძალაუფლების გაცნობიერებული გამოყენება მოსამართლის დისკურსიას არ განსაზღვრავს. მოსამართლის დისკურსია, ზოგადად, არც ემოციური და არც ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მას უფრო ნორმატიული განზომილება აქვს, რომელშიც მოსამართლეს რამდენიმე განმარტებას შორის არჩევანის გაკეთების თავისუფლება აქვს.

ბარაქი, ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია

ინტერპრეტაციის ნებისმიერი თეორია მოსამართლის დისკურსის არსებობას უნდა ამტკიცებდეს. შეუძლებელია, არსებობდეს ინტერპრეტაცია დისკრეციის გარეშე. ინტერპრეტაციის თეორიები განსხვავდება დისკრეციის ფარგლებით, მაგრამ არა მათი არსებობის ფაქტით. ინტერპრეტაციის სუბიექტური თეორიები დისკრეციას მოიაზრებენ, როგორც, სულ მცირე, განუსაზღვრელ დონეს სხვადასხვა სუბიექტურ მიზანს შორის. ინტერპრეტაციის ობიექტური თეორიები დისკრეციის ცნებაში მოიაზრებენ ობიექტური მიზნების სხვადასხვა დონეს, როგორც შეკავებისა და განწინასწორების ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებებსა და პრინციპებს. ამდენად, უხეში შეცდომა იქნება ინტერპრეტაციის ნებისმიერი თეორიის დისკრეციის, როგორც ინტერპრეტაციის განუყოფელი ნაწილის, გარეშე, ფორმულირება. ფაქტობრივად, მოსამართლის დისკრეციის შესახებ რეკომენდაციები ინტერპრეტაციის თეორიის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს ქმნიან. ამდენად, სუბიექტური და ობიექტური მიზნებით ინტერპრეტაციას შორის არჩევანი გაერთიანებული უნდა იყოს მოსამართლის დისკრეციის შესახებ უფრო ფართო კონცეფციაში. ასეთი ინტეგრაცია განსაკუთრებით აუცილებელია, როცა საქმე კონსტიტუციის ინტერპრეტაციას შეეხება, რამდენადაც სამოსამართლო დისკრეციასთან დაკავშირებული ძირითადი მოსაზრებები ბუნებით საკონსტიტუციოსამართლებრივია. ეს მოსაზრებები სვამს კითხვებს დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლის როლის თაობაზე, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მოსამართლის, როგორც კონსტიტუციის ტექსტის ინტერპრეტაციორის, საკონსტიტუციო როლს.

d) კონსტიტუციის მიზნობრივი ინტერპრეტაცია

რა არის სუბიექტური და ობიექტური მიზნების სათანადო ნაზავი კონსტიტუციის ინტერპრეტაციისას? ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური გადაწყვეტილების სფეროს განეკუთვნება, რომელიც სამართლებრივ საზოგადოებაში კონსესუსით უნდა იქნეს მიღებული. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, რა იქნება არჩევანის გაკეთებისთვის „მართებული“ გზა? კანონის ინტერპრეტაციისას იგივე არჩევანია, რაც კონსტიტუციის ინტერპრეტაციისას?

ამ შეკითხვაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა იმაზე მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მე დღეს მაქს, რამდენადაც იგი ბევრ ფუნდა-

მენტურ საკითხს აყენებს. მე შემიძლია მხოლოდ მოკლე პასუხი გაგცეთ: კონსტიტუციის ინტერპრეტაცია განსხვავდება კანონის, ისევე, როგორც სხვა სამართლებრივი ინტერპრეტაციისაგან. განსხვავდა კონსტიტუციის ტექსტის განსხვავებულ ხასიათშია.

კონსტიტუციის ტექსტის მიზანი ეროვნული თვითმყოფადობის მყარი საფუძვლის უზრუნველყოფაა. იგი ხალხის ძირითად მისწრაფებებს განასახიერებს. ის გაუძლვება მომავალ თაობებს ძირითადი არჩევანის გაკეთების დროს. იგი უმრავლესობის კონტროლის, ინდივიდთა ღირსებისა და თავისუფლების დაცვის საშუალებაა, ვერც ერთი ეს ამოცანა ვერ შესრულდება, თუ ინტერპრეტაციისათვის სახელმძღვანელო მხოლოდ კონსტიტუციის ტექსტის შემქმნელთა სუბიექტური მიზანი იქნება. კონსტიტუციის მიზნები ვერ მიიღწევა, თუ მისი ხედვა დამფუძნებელი მამების თვალსაწიერით იქნება შეზღუდული. მაშინაც კი, თუ სუბიექტურ მიზანზე ყველაზე ფართო დისკუსიას დავუშვებთ, ეს საკმარისი მაინც არ იქნება. იგი თანამედროვე ეროვნული თვითმყოფადობის მყარ საფუძველს ვერ უზრუნველყოფს. ის თანამედროვე ხალხის ძირითადი მისწრაფებებისათვის უცხო იქნება. იგი არ იქნება თავსებადი თანამედროვე ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებასთან. კონსტიტუცია უფრო ბრძენი უნდა იყოს, ვიდრე მისი შემქმნელები იყვნენ.

აქედან გამომდინარეობს ჩემი მოსაზრება, რომ სხვა სამართლებრივი ინტერპრეტაციისგან განსხვავებით, კონსტიტუციის ინტერპრეტაცია ობიექტური მიზნით უნდა განხორციელდეს. თუმცა ობიექტური მიზნის, როგორც ნორმატიული კონცეფციის, რეალიზაციის დროს წარსულის დავიწყება არ შეიძლება. ობიექტური მიზანი ცხოვრებისეული ხედვაა, რომელიც მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებშია განსახიერებული და რომლის წარმოშობაც წარსულთანაა დაკავშირებული. იგი უფრო მაღალი ღირებულების გამოხატულებაა, რომელიც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა და ძირითადი ღირებულებების შესრულება წარსული გადაწყვეტილებებითაა განმტკიცებული. მას ძველი ტრადიციები თანამედროვე გარემოში გადმოაქვს. იგი სახელმწიფოში ინდივიდის როლზე წარსული გამოცდილების თანამედროვე გაგებაა.

რასაკვირველია, ამგარი ინტერპრეტაცია ჩვეულებრივი კანონის შესაბამისად მოქმედ არსებულ უმრავლესობას ზღუდავს. ამ მიმართებით, მოსამართლე, რომელიც ამ სახის ინტერპრეტაციას

ბარაქი, ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია

ახორციელებს, უმრავლესობის საწინააღმდეგო როლს ასრულებს, მაგრამ ისევეა ის მოსამართლე, რომელიც კონსტიტუციის ტექსტს მისივე შემქმნელის სუბიექტური მიზნის შესაბამისად განმარტავს. ინტერპრეტაციის რომელიმე თეორიის ლეგიტიმურობა არც ტექსტიდან გამომდინარეობს და არც ტექსტის ავტორის ჩანაფიქრიდან. კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ყველა თეორიის ლეგიტიმურობა, ისევე, როგორც თავად კონსტიტუციის ლეგიტიმურობა გამომდინარეობს არასამართლებრივი წყაროებიდან, სუბიექტური მიზნის ინტერპრეტაციის მეთოდის გარეშე და შეიძლება ასევე ობიექტური მიზნით ინტერპრეტაციის მეთოდის ლეგიტიმაციასაც ახდენდეს.

კონსტიტუციის ნორმის მიზნის ჩამოყალიბებისას მოსამართლეს დისკრეცია აქვთ, თუმცა არა შეუზღუდავი. ეს დისკრეცია ისტორიასა და ტრადიციაშია ფესვგადგმული. თანამედროვე მიზნების შესახებ მოსამართლის ხედვა უნდა შეესაბამებოდეს მის ხედვას ისტორიული მიზნების თაობაზე. თანამედროვე მიზანი თავსებადი უნდა იყოს სხვა თანამედროვე მოსამართლების მიერ უკვე აღიარებულ განუსაზღვრელობის დონესთან. პრეცედენტს ზოგადად პატივის უნდა სცემდნენ. მოსამართლე არ უნდა აწესებდეს პირად ღირებულებებს. პირიქით, იგი უნდა შეეცადოს, გამოხატოს ეროვნული თვითმყოფადობის ძირითადი ღირებულებები. ეს ღირებულებები უმრავლესობის ან უმცირესობის ხედვა არაა. იგი ძირითად იდეალებს გამოხატავს. ის თანმიმდევრული და პუნქტრივი განვითარების ძირითად ცნებებს უნდა მოერგოს. ის უნდა მოერგოს საკონსტიტუციო წყობილებასა და სისტემას, და საკონსტიტუციო სქემასთან ერთიანობაში უნდა იყოს. კონსტიტუცია პარაგრაფების კრებული არაა. ეს ერთიანი მთლიანობაა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ფართო მნიშვნელობით. კონსტიტუცია ერთიანი დოკუმენტია, სადაც ერთი რომელიმე მუხლის ინტერპრეტაცია მთელი ტექსტის ინტერპრეტაციას საჭიროებს.

მაგრამ არსებობს დისკრეციას განხორციელებისას მოსამართლეს მოეთხოვება იყოს ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და წინასწარმეტყველი. მოსამართლე შეიძლება შეცდეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი გადაწყვეტილებები შეიძლება საბოლოო აღმოჩნდეს, ის უცდომელი არაა, მოსამართლემ შეიძლება უხეში შეცდომები დაუშვას. მას შეიძლება ეროვნული ცხოვრების გზის არასწორი ხედვა ჰქონდეს. მან არ უნდა დაკარგოს სწორი ბალანსი სტაბილურობასა და ცვლილებებს შორის. მოსამართლემ შეიძლება

თავის სუბიექტურ მოსაზრებებს მისდიოს და არა სისტემის მემკვიდრეობას. ის შეიძლება დროებით მოექცეს ეფემერული ტენდენციებისა და იდეების გავლენის ქვეშ. ეს ის რისკებია, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ინტერპრეტაციის არცერთ თეორიას არ შეუძლია შეცდომების დაშვების პრევენცია. საკითხავია, ინტერპრეტაციის ჩემი თეორია, ზოგადად და კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ჩემეული თეორია, კერძოდ, აღნევს თუ არა თავის მიზანს? ასრულებს კი მოსამართლე სათანადო კონსტიტუციის ინტერპრეტატორის ფუნქციას ზოგად საკონსტიტუციო სქემაში? არის კი ის საკონსტიტუციო სასამართლოს საყრდენი? იმედი მაქვს, რომ პასუხი დადებითია. თუმცა მე მესმის ის გამოწვევები, რომლის წინაშეც ეს პასუხი დგას. როგორც მოსამართლემ, მე უნდა ვიცოდე ჩემი შეზღუდვები. როგორც ჩვენმა უხუცესებმა თქვეს: „იფიქრებ-დით, რომ მე თქვენ ძალაუფლებას განიჭებთ? მე თქვენ მონობას გინესებთ“.

ფულერი, ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი

ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი*

ლონ ფულერი

მარიამ ბოლდაშვილის** თარგმანი

რთულია, მიაღწიო ეფექტურ კომუნიკაციას ისეთი ტერმინის ნებისმიერი სახით განხილვაში, რომელიც იმდენად ბევრ მნიშვნელობას ატარებს, როგორც ამას ატარებს ცნება „ბუნებითი სამართალი“. ამ ტერმინის ადეკვატურ სემანტიკურ ანალიზს არა მხოლოდ მოუწევს მისი განსხვავება სხვა, ერთმანეთისგან ადვილად გასარჩევ მნიშვნელობებს შორის, არამედ, აგრეთვე, მას თავის თავზე მოუწევს უფრო რთული წამოწყების აღება, რაც გულისხმობს თვალყურის მიდევნებას ამ მნიშვნელობების რთულ ნაწილობრივ დამთხვევებზე, რომლებიც მათ საერთო ოჯახიდან წარმოშობის შესახედაობას აძლევთ. ასეთი სახის ანალიზი წინა პლაზმევერ წამოსწევდა ამ ნაშრომის მიზნებს, რადგან პრობლემა, რომელიც მე მინდა წარმოვადგინო, უკავშირდება ონტოლოგიის ფუნდამენტურ არსს, რაც შესაძლოა გამოითქვას განმარტების პროცესში, მაგრამ ნაკლებად შეიძლება განვითარდეს მის მიერ.

ჩემ მიერ იმის მოკლედ ჩამოყალიბება, თუ რის გაკეთებას არ ვცდილობ ამ ნაშრომში, შესაძლოა, გაუგებრობის თავიდან აცილებაში დაგვეხმაროს. მე, ჩვეული განზრახვით, არ ვცდილობ „ბუნებითი სამართლის თეორიის“ განვითარებას. მე ყურადღებას არ ვამახვილებ ბუნების არანაირ კოდზე. არ ვაპირებ კაზუისტიკის პრობლემების განხილვას, იმის სათქმელად, თუ როგორ გადაწყვეტდა ამა თუ იმ შემთხვევას „ბუნებით სამართალზე ჩემი წარმოდგენა“. ჩემი უმთავრესი საზრუნავია პრობლემის წარმოდგენა და პრობლემის მოგვარების მხოლოდ შემთხვევითი და არასრულყოფილი გზების შემოთავაზება. პრობლემა, რომელსაც ვეხები, ერთ-ერთი იმათგანია, რომელთან გამკლავებასაც, თუმცა მოუქნელად, ბუნებითი სამართალი ცდილობს. ეს არის პრობლემა,

* თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: Lon L. Fuller, Human Purpose and Natural Law, American Journal of Jurisprudence, Vol.3, Issue 1, 1958.

** ფილოლოგის მაგისტრი თარგმანმცოდნეობაში, მთარგმნელი.

რომელსაც პოზიტივიზმი ზოგადად განიხილავს, როგორც უბრალოდ არარსებულს.

პრობლემა, რომელიც მე მანუქებს, დგება მაშინ, როცა ვცდილობთ, შევეგურო დღესდღეობით საზოგადოდ მიღებულ ფაქტისა და ღირებულების დიქოტომიას ადამიანური ქცევის მიზნობრივ ინტერპრეტაციასთან. ამისთვის ჩემი თეზისია, როდესაც ჩვენ ვიღებთ სრულ შედეგს დანახულიდან გამომდინარე, რომელიც ადამიანის ქმედებას მიზანმიმართულს ხდის, ფაქტსა და ღირებულებას შორის ურთიერთობა იმისგან სრულიად განსხვავებულ ასპექტს ვარაუდობს, რაც იყო ნაგულისხმევი დაუსაბუთებელ „ტრუიზმში“, რომელიც გულისხმობს შემდეგს, — „რაც არის“ არაფერია იმასთან შედარებით „რაც უნდა იყოს“. ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო.

გარკვეულ მანძილზე ვხედავ ბიჭს, რომელსაც ხელში უჭირავს პატარა, ნაცრისფერი მომრგვალო საგანი. ის თითქოს ამ საგანს გულდასმით აკვირდება. გარკვეული ყოყმანის შემდეგ, იგი ფრთხილად ათავსებს ამ ნივთს ხელისგულებს შორის და ხელებს განმეორებით უჭერს ამ საგანს. ამის შემდეგ ნივთს ხელს უშვებს და თავისუფლად ათავსებს მას მარცხენა ხელში და იწყებს ამ საგნის ადგილმდებარეობის განსაზღვრას მინაზე. ის აშკარად პოულობს იმას, რაც უნდა, იხრება და იღებს ჯოხს. ამ ჯოხს იყენებს საგანზე დასარტყმელად. ამის შემდეგ აგდებს ჯოხს და იხრება ამ საგნის ქვაზე რამდენჯერმე დასარტყყამად. ცოტა ხანში იგი წყვეტის ამის კეთებას და იწყებს სიარულს ისე, თითქოს არ აქვს გადაწყვეტილი, რას მოიმოქმედებს შემდგომ. მოულოდნელად, იწყებს ჯოხების ერთად შეგროვებას, აწყობს მინაზე გროვად, უნთებს ცეცხლს, ნივთს ათავსებს ცეცხლში და შემდეგ მოლოდინის რეჟიმში ჩერდება გარკვეულ მანძილზე.

ახლა ნათელია, რომ ამ შემთხვევაში რაღაც ხდება, მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიგებთ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ბიჭი ცდილობდა ორსადგულიანი მოლუსკის გახსნას, მნიშვნელობები მოულოდნელად იზრდება. ამ მინიშნების გარეშე მე ვერ მივხვდებოდი, რას ვაკვირდებოდი, ზუსტად დავიმახსოვრებდი მოვლენების მოხაზულობას ან სხვას ვუამბობდი ლოგიკურად თანამიმდევრული ქმედებების ჯაჭვს მომხდარის თაობაზე.

უნიდელი თაობა ძალიან მარტივად იტყოდა, რომ ამ მიზნის გასაღები საჭირო იყო იმის „გასაგებად“, თუ რა ხდებოდა. ნება მო-

ფულერი, ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი

მეცით, რამენაირად განვსაზღვროთ „გაგება“ თანამედროვე სამეცნიერო მეთოდის ტერმინების შესაბამისად. მოდით, მივიჩნიოთ, რომ ჩვენ გვაქვს „გაგება“, როდესაც მოვლენების კონტროლისა და წინასწარმეტყველების შესაძლებლობა გვაქვს. ნათელია, რომ ნებისმიერი შანსი, რომელიც შესაძლოა მქონდეს ბიჭის მოქმედების მიმართულების შესაცვლელად, მისთვის ყურადღების გადატანით აქტივობის სხვა ხაზში, დიდი დოზით დამოკიდებული იქნებოდა ჩემს ცოდნაზე, თუ რის გაკეთებას ცდილობდა ის. მსგავსად, თუ მე ნებისმიერ საფეხურზე მექნებოდა შესაძლებლობა, მენინასწარმეტყველა, რას გააკეთებდა იგი შემდეგ, მაგალითად, თუ სწორად მივხვდებოდი, რას გააკეთებდა ჯოხების შეგროვების შემდეგ, ეს იქნებოდა იმის გამო, რომ მე მივხვდებოდი, სულ მცირე ზოგადი ტერმინების საშუალებით, მის მიზანს.

მჯერა, ახლა შეიძლება ვაჩვენოთ, რომ მოვლენების ნებისმიერ ინტერპრეტაციაში, რომელიც უშვებს, რომ რასაც აკვირდებიან როგორც წინასწარგანზრახულს, ფაქტი და ლირებულება ერთმანეთს ერწყმის. ამ შემთხვევაში შეხედულება, რომ ლირებულება არის რაღაც უცხო წმინდა ფაქტობრივი აზრისგან — დამკვირვებლის მიერ დაკვირვების საფუძველზე მოფიქრებული — კრიტიკულ განხილვას უბრალოდ ვერ უძლებს. თუ მე შემიძლია წინასწარმეტყველება, რომ ბიჭის ხელების გამოყენებით მოლუსკის გახსნის ცდა მაღე დასრულდება, ეს იქნება იმის გამო, რომ მე ვიცი, ეს არ არის მოლუსკის გახსნის „კარგი“ ხერხი; მხოლოდ ბიჭის მიზნის მიხედვით შეფასებული, იგი განიცდის „ლირებულების“ ნაკლებობას. აქ მოვლენების სტრუქტურა, მათი სინამდვილეში გაშლისას, შეიცავს ლირებულების ელემენტს, ისე, რომ შეგვიძლია ვთქვათ: „ეს არის ცუდი, ეს არ გაგრძელდება“ ან „ეს არის კარგი, ჩვენ შეიძლება ველოდოთ მის გაგრძელებას“.

მე დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი სადაცო იქნება იმ თვალსაზრისით, რომ მთელი ეს ილუსტრაცია არასწორი შეხედულების ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ეფუძნება. შეიძლება ითქვას, რომ „ლირებულება“ აღარ არის ჩემ მიერ მოთხოვნილი ფაქტების დამახასიათებელი შინაგანი თვისება, ვიდრე ის იქნებოდა, მოდით, ვთქვათ, თუ მე დავაკვირდებოდი თხუთმეტი ფუტის კედელზე მიყუდებულ ხუთი ფუტის სიგრძის კიბეს. რასაკვირველია, ეს სიტუაცია, როგორც დაკავშირებული, არაფერს გვთავაზობს, ლირებულებითი შეფასების მსაგავსს მანამ, სანამ შემიძლია მასზე

ვთქვა — „ეს ცუდია“, თუ მე მივიჩნევ, რომ ვინმე, ნორმალური რეპუტაციის ადამიანი, გეგმავს კიბის გამოყენებას კედლის გასაზომად და თუ მე წინასწარ მივიღებ მის მიზანს, როგორც ღირებულს. ერთადერთი განსხვავება ამ შემთხვევასა და ჩემ წინა მაგალითს შორის, შეიძლება ითქვას, არის ის, რომ მაშინ, როცა ვუყურებთ ბიჭს მოლუსკით, ფიზიკური მოვლენების დაკვირვება, ბიჭის მიზნის აღქმა და ამ მიზნის, როგორც შეფასების სტანდარტის, წინასწარი მიღება, ყველაფერი გრძელდება ერთდროულად, ისე, რომ აქ ერთმანეთში ირევა მთავარი განსხვავება, თუმცა ეს ქმნის ფაქტისა და ღირებულების ერთმანეთთან შერწყმის ილუზიას. ის, რომ ისინი დარჩნენ განსხვავებულები მაშინაც კი, როდესაც ვაკვირდებით მიზნობრივი ქმედების შედეგებს, ნათელი გახდა კიბისა და კედლის მაგალითის ილუსტრაციით.

ეს არგუმენტი უგულებელყოფს ფაქტს, რომ როდესაც საქმე გვაქვს მიზნობრივ ქმედებასთან, რომელიც მოფიქრებულია დროში, სტრუქტურა, რომელსაც ვაკვირდებით, ვისხენებთ და ვამბობთ ტყუილებს, არა მომენტალურად, არამედ მოვლენების მიმდინარეობის პროცესში, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეობას მივიღებთ შეფასების პროცესში, რომლის საშუალებითაც „ცუდი“ არის უარყოფილი და „კარგი“ — შენარჩუნებული. თუ თვალს შევავლებ პრობლემას მათემატიკოსის მხარს ამოფარებული, რომელიც მუშაობს ჩემი კომპეტენციის მიღმა არსებულ საკითხზე, მე არ შემიძლია მისი ქმედების წინასწარმეტყველება ან კონტროლი და არც შემეძლება არაარსებითზე უფრო მნიშვნელოვანი დეტალების მოთხოვობა იმაზე, რასაც ვაკვირდებოდი. ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა ბიჭისა და მოლუსკის მაგალითი, მოვლენის „ფაქტი“ შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ ერთი საკმარისად შესაძლებელი ცოდნის მეშვეობით იმის შესახებ, რა ხდება მაშინ, როდესაც „კარგი“ მიიღება და „ცუდი“ უარყოფილი იქნება. თუ ჩემი რომელიმე ილუსტრაცია ქმნის „ილუზიას“, რომ კიბისა და კედლის მაგალითი შემთხვევაა, სადაც მიზნობრივ ქმედებაში წყვეტა ტოვებს წინასწარ ვარაუდს ფიზიკური საგნების დროებით განლაგებულ ფორმაში, რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვისაუბროთ მასში უფრო დიდი მიზნობრივი ელემენტის იმპორტის გარეშე, ვიდრე ყველა ენისთვის თანდაყოლილი მახასიათებელია.

დარწმუნებული ვარ, ამ თვალსაზრისით, სადაც იქნება, რომ ჩემი დაკვირვება ერთმანეთში აურევს კითხვას საბოლოო ღირებუ-

ფულერი, ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი

ლების შესახებ და კითხვას ყველაზე ეფექტური საშუალებების ამორჩევასთან დაკავშირებით უმუალო მიზნის გასაანალიზებლად. შესაძლოა, მართალია, რომ მიზნობრივი ქმედების გასაგებად და აღსანერად მოგვიწევს ქმედების ღირებულების განსაზღვრის პროცესში სხვის ადგილზე თავის წარმოდგენა, მაგრამ ნებისმიერი ასეთი შეფასება აუცილებლად შედარებითია იმასთან, რასაც დიუი “end-in-view”-ს უწოდებს. ის ფაქტი, რომ მოლუსკის გახსნის „კარგი“ და „ცუდი“ გზები არსებობს, უპასუხოდ ტოვებს შემდეგ კითხვას, — თვით მოლუსკის გახსნა არის თუ არა აქტივობა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს კარგი.

მაგრამ მართებულია ის, რომ მიზნობრივი ქმედების მსვლელობა შეიძლება უბრალოდ გაგებულ იქნეს მისი აღქმით დროის ნებისმიერ მონაკვეთში, რა პირდაპირი მიზანიც არ უნდა იყოს მიღწეული შემდეგ? ერთი მიზნიდან მეორე მიზანზე გადასვლა უნდა აღვიძვათ როგორც სასწაული, რომელიც შეფასების პროცესში დამკვირვებლის მხრიდან არც მოითხოვს და არც ნებას რთავს იმ შეფასებაში მონაწილეობას, რომელიც ცვლილებას წარმოქმნის?

ჩემს ახლანდელ ილუსტრაციაში აღვერე შემთხვევა, სადაც აშკარად განცენებული ქმედებების სერია მიმართული იყო იმისკენ, რასაც მე ვუწოდებდი ერთადერთ მიზანს. უკეთესი იქნებოდა ამ უბრალო შემთხვევაშიც კი საუბარი არა მიზანზე, არამედ ერთ-მანეთან დაკავშირებული მიზნების სიმრავლეზე. „მოლუსკის გახსნა“ მასზე ხელის მოჭერით აშკარად განსხვავებულია „გახსნის-გან“, რომელიც შესაძლოა ცნობისმოყვარეობის შედეგი იყოს. მაგრამ, დავუშვათ ბიჭის აქტივობის მიმართულებაში დიდი ცვლილება. მაგალითად, მას უთხრეს, რომ მახლობლად არის აკვარიუმი, სადაც შეუძლია დაკვირდეს მოლუსკების გამოკვებასა და ქვიშიდან მათ ამოთხრას და სადაც ისინი იქნებინ თავიანთ ბუნებრივ საცხოვრებელ პირობებში. ბიჭი აგდებს თავის მოლუსკს და გარბის აკვარიუმის სანახავად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ქმედებების უწყვეტობაში ახლა იყო სრული წყვეტა, ან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან უბრალოდ მისი ნამდვილი მიზნის ყოველმხრივ დასაკმაყოფილებლად უკეთეს საშუალებას მიაგნო? ბიჭის აქტივობაში შესაძლოა სხვა ცვლილებების წარმოდგენა, როგორიცაა, მაგალითად, მოლუსკის დადება და ენციკლოპედიის გადაშლა, სადაც მანამ, სანამ C-ს მიაღწევდა, მას აღფრთოვანებაში მოიყვანდა სტატია ას-

ტრონომიის შესახებ. უმთავრესი აზრი, რის გადმოცემასაც ვცდილობ, ისაა, რომ ქმედების ნებისმიერი სირთულის მიმდინარეობის გასაგებად საერთო „მიზანი“ საკმარისი არაა. თუ მე მივხვდი, რას აკეთებდა ბიჭი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ერთმანეთის მსგავსი ადამიანური ბუნების გამო მოხდა, იმ ხასიათის გამო, რომელიც ორივე ჩვენგანში ყოველთვის არასრულია და მუდმივი განვითარების პროცესშია.

ნებისმიერი საერთო ადამიანური მიზანი — არა აქვს მნიშვნელობა, იგი გამოხატულია ქმედებაში თუ სიტყვებში — არის არასრული, როდესაც ჩამოშორდება იმ მთლიანი სისტემის ფორმას, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს. ნებისმიერი მოცემული მიზნის მნიშვნელობა ყოველთვის კონტროლდება მასთან ურთიერთქმედებაში მყოფი ფარული მიზნებით. ეს კარგად ჩანს ვიტგენშტაინის მაგალითში:

ვიღაც მეუბნება: „ასწავლე ბავშვებს თამაში“. მე მათ კამათლებით თამაშს ვასწავლი და ამ დროს ის პიროვნება მეუბნება, „მე ასეთი ტიპის თამაშს არ ვეულისხმობდი“. თამაშებს შორის კამათლის თამაშის გამორიცხვა მას გონებაში მანამადე მოუვიდა აზრად, სანამ მე მომცემდა დავალებას?¹

ისინი, ვინც ამტკიცებენ დიდი ენერგიის საჭიროებას სიტყვებზე ან ადამიანის ქმედებებზე შეფასებას მოკლებული მნიშვნელობის მისაკუთვნებლად, კარგი იქნება, თუ ამ მაგალითზე დაფიქრდებიან.

დილემა, რომელსაც ჩვენ ვუპირსპირდებით, როდესაც ვცდილობთ გამოვიყენოთ ფაქტისა და ღირებულების დიქოტომია ადამიანური მიზნისთვის, ხელახლა შეიძლება ჩამოყალიბდეს მნიშვნელობისა და მიზნის ურთიერთობის თვალსაზრისით. ყველა, ვინც დაფიქრდება მორალურ საკითხებზე, მნიშვნელობასა და მიზანთან დაკავშირდებით, ორი აზრი გაუელვებს. ერთი მხრივ, თითქოს წათლად ჩანს, რომ მოცემული მიზნის რეალიზაციისთვის შესაფერისი მნიშვნელობის შერჩევა არის აქტივობა, რომლითაც დაკავებულია ადამიანის გონებრივი შესაძლებლობა, მისი ზუსტი ანალიზის უნარი და დაკვირვება. ფიქრის მეორე ხაზს თანაბარი დამაჯერებლობით მივყავართ დასკვნამდე, რომ ამ აქტივობას უნდა ჰქონდეს საბოლოო წერტილი და რომ საბოლოოდ მიღწეული მასქსიმალური მიზანი შეუძლებელია გადაწყდეს ანალიზით ან

¹ Philosophical Investigations 33 (1953)

ფულერი, ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი

დაკვირვებით, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, მოფიქრებული უნდა იყოს მოვლენების საფუძველზე. აზრის ეს ორი ხაზი შეიძლება თავისუფლად თანაარსებობდეს მანამ, სანამ ის გადაწყვეტილების ნებისმიერ პროცესს შეეხება. როდესაც ეს ხდება, განსხვავება, რომელიც მათ აცალეკვებს, ქრება და მათი ფარული კონფლიქტი აშკარა ხდება. როდესაც ჩვენ ვუპირისპირდებით რეალური გადაწყვეტილების მიღების საჭიროებას ქმედების მიმდინარეობის შესახებ, მნიშვნელობა და მიზანი უკვე აღარ არის ერთმანეთთან ტანდემში, არამედ გადაინაცვლებენ ურთიერთმოქმედების წრეში.

თუმცა ჩვენ ვუპირისპირდებით ისეთი სახის დილემას, რომელიც წარმოდგენილია ფიზიკაში სინათლის რყევისა და ატომური თეორიებით – ორი შეხედულება, რომელთაგან თითოეული, განცალკევების შემთხვევაში, მართებული ჩანს, მათი ერთმანეთთან კომბინირების შეუძლებლობას ამტკიცებს. ეთიკაში, სამწუხაროდ, ეს კონფლიქტი მკაფიოდ თავს ამჟღავნებს მხოლოდ იმ წერტილში, სადაც თეორია ადამიანური საქმეებისგან განსხვავდება.

თავს არ გაჩვენებთ, რომ შემიძლია ამ პრობლემით გამოწვეული სირთულეებისგან თავის დაღწევა. ვვარაუდობ, რომ პრობლემის ნაწილი მდგომარეობს ენაში. ენის ფორმები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც საქმე აქვთ ქვემდებარესთან, ზმნასთან და შემასმენელთან, შესაფერისია საბოლოოდ მოფიქრებული ქმედების აღსაწერად, მაგრამ ეს ფორმები საკამოდ მოუხერხებელი საშუალებაა, როდესაც საქმე გვაქვს ურთიერთმოქმედებასთან. სიტყვებს, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ მენტალური აქტივობის აღსაწერად, აგრეთვე, შეუძლიათ გამოიწვიონ გარკვეული გაუგებრობა საკითხის გაგებაში. ტერმინი „აზროვნება“ შესაფერისია, როდესაც მიემართება ყველაზე ეფექტური საშუალებების შერჩევის პროცესს მისაღები მიზნის გასაანალიზებლად, მაგრამ შეუფერებელია იმ პროცესის აღსაწერად, რომლის საშუალებითაც გამოსახულებითა და ვარაუდით, ჩვენ ვყალიბდებით, თუ „რა გვინდა რეალურად“, თუმცა პრაქტიკაში ორივე პროცესი მიდის ნინ ურთიერთობაში და ორივე უფრო მაღალ ნერვულ ცენტრებს იზიდავს.

ეჭვი არაა, რომ სირთულის ნამდვილი წყარო უფრო სიღრმეში დევს. მნიშვნელობისა და მიზნის პრობლემა უბრალოდ ცხოვრების სიღრმისეული საიდუმლოების ზედაპირზე გამოსვლაა. ამჟამად არსებული აქტუალური საკითხი განსხვავდება იმით, რომ ის აერთიანებს ორ თვისებას, რომლებიც არ გვხვდება არააქტუალურ სა-

კითხებში: პირდაპირობა და შემგუებლობა. ამ ორი თვისების გამოცნობ ურთიერთობაში მდგომარეობს მნიშვნელობისა და მიზნის პრობლემის საკითხი. შესაძლოა, საიდუმლოება, რომელიც მიზნის ჩამოყალიბების პრობლემას თან ერთვის, მხოლოდ კონკრეტული გამოხატულებაა იმისა, რაც გარს ერტყმის ყველა ბიოლოგიურ ფენომენს, რომელიც, როგორც ჩანს, ორგანიზმის შიგნიდანვე „გეგმავენ“ საკუთარ თავებს. ჩვენ ვხედავთ, რომ არაფერია იმაში საკვირველი, როცა ცხოველი სარგებლობს საკუთარი საფარველით სიცივისგან თავის დასაცავად, მაგრამ წარმოიდგინეთ, სასწაულის მომსწრე გავხდებით, როდესაც სხვა ცხოველი იმავე პრობლემის დაძლევას შეეცდება ბალანის გაზრდით — თუმცა გაგვიჭირდება იმის ახსნა, თუ რატომ არის ერთი მოვლენა ჩვეულებრივი ამბავი და მეორე — ასეთი მისტერიული. შესაძლოა, ცხოველის შემთხვევაში, რომელიც იზრდის უფრო სქელ ბეწვს ზამთართან შესახვედრად, სირთულე გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ წაცნობი საშუალებისა და მიზნის ურთიერთობა არასაკმარისი ჩანს, ასე რომ, მიზანს საკუთარი თავის რეალიზება უხდება პირდაპირ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი გონება თავს კომფორტულად გრძნობს, როდესაც საქმე გვაქვს საშუალებისა და მიზნის ურთიერთქმედებასთან, მაგრამ ჩვენი გონება წუხდება, როდესაც ვცდილობთ, გავიგოთ ამ ურთიერთობის წევრები ერთმანეთისგან იზოლაციაში.

თუ ამ მნირ რჩევებს აქვს რაიმე ზოგადი ღირებულება, ეს დახმარება იქნება პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში და არა პრობლემის გადაჭრის გზების პოვნაში. მართლაც, მე მჯერა, რომ საკითხი, რომელსაც ახლა ვუპირისპირდებით, არ არის პრობლემის გადაწყვეტის საშუალება, არამედ იმის გადაწყვეტაა, თუ როგორ მოვიქცეთ პრობლემის გადაჭრის გზის არარსებობის შემთხვევაში.

ერთი-ერთი პასუხი ზემონახსნება დილემურ სიტუაციაში ამ დროისთვის სავსებით ნაცნობია. ყველაზე ექსტრემალურ ფორმაში იგი ეფუძნება შემდეგს: ადამიანური მიზნისა და „ღირებულების“ საფუძვლიანობა მოტივირებული დემონსტრაციის საქმე არ არის. მაშინ, როცა შესაფერისი მნიშვნელობების შერჩევის პროცესს აქვს ინტელექტუალური წამოწყების სახე, მნიშვნელობა მიზნის გარეშე უბრალოდ ანომალია. მანამ, სანამ ჩვენ შევარჩევთ მიზანს ჩვენი სურვილის მიხედვით, მნიშვნელობების ნებისმიერი სახით განხილვა უშედეგოა. თითოეული მნიშვნელობისა და მიზნის პრობლემა

ფულერი, ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი

უნიკალურია. თუ ასე არ იქნებოდა, მაშინ ეს მიუთითებდა, რომ თავად მიზნის ფორმირება არის სამართლიანი პროცესი, ექვემდებარება რაციონალურ შემეცნებას, რომელიც, მიიჩნევა, რომ შეუძლებელია იყოს პრეცედენტი.

იმავე დილემური სიტუაციიდან სხვა ინტელექტუალურ ტრადიციას სხვა დასკვნა გამოქვა. მანამ, სანამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელობა და მიზანი ურთიერთქმედებენ, შეუძლებელია წინასწარ მიზეზის ზუსტი როლის განსაზღვრა. ამიტომ, მოდით, უკუვაგდოთ ჩვენი გაგების უნარი, რამდენადაც მას გაურკვევლობის ლაბირინთებში შევყავართ, სადაც მნიშვნელობა და მიზანი ურთიერთქმედებენ. მოდით, ერთად ვეძებოთ ამ გაურკვევლობის ლაბირინთებში და აღმოვაჩინოთ შეთანხმება ამ სფეროში, რამდენადაც ბუნება მოვცემს ამის საშუალებას.

ეს მოსაზრება ამტკიცებს პროცესის რეალურობას, რომელსაც შეიძლება საერთო მიზნის კოლაბორაციული არტიკულაცია ეწოდოს. საუკუნეების განმავლობაში, მიუზედავად მისი ექსტრავაგანტულობისა და დოგმატიზმისა, ბუნებითი სამართლის სკოლა იყო ის, რამაც შეინარჩუნა ამ პროცესში რწმენა. ეს რწმენა გამართლებულია?

მჯერა, ამის სარწმუნოდ ბევრი დამამტკიცებელი საბუთი გვაქვს. ყოველდღიურ ცხოვრებაში, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველაზ ვიცით, კრიზისის პერიოდში მეგობართან საუბარი ხშირად დაგვხმარებია იმის გასაგებად, თუ რა გვინდა რეალურად. საბოლოო შედეგზე დიდად არ მოქმედებს, რას გვეტყვის ჩვენი მრჩეველი „შენს საშუალებებს სიფრთხილით შეხედე“, თუ „ყურადღებით აწონ-დაწონე შენი მიზნები“. რჩევის შედეგი ორივე შემთხვევაში არის მოფიქრებისა და კონსულტაციის დაწყების პროცესი, რომელმაც შესაძლოა საკუთარი თავის შემეცნება მთლიანად შეცვალოს. ურთიერთგაგებისთვის საჭირო ასეთი კონსულტაციის სარგებლიანობის მიღწევა ძალიან რთულია და შესაძლოა, ჩანს, რომ კოლაბორაცია ასეთ პერსონალურ დონეზე არ არის რელევანტური სამართლისა და ეთიკის უფრო სერიოზულ საკითხებთან მიმართებით.

ამას გარდა, ვფიქრობ, რომ საერთო სამართლის ისტორიაში ჩვენ გვაქვს მაგალითი, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ შეუძლია სოციალურ ინსტიტუტს მისი ერთიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის წარმოშობა იმავე სულისკვეთების კონსულტაციისგან, რომე-

ლიც აცოცხლებს ორი მეგობრის მსჯელობას პრობლემის ერთად განხილვისას. საერთო სამართალი არის არა ერთი, არამედ ბევრი მოსამართლის ერთობლივი მუშაობის შედეგი. მისი განვითარების ისტორიაში საერთო სამართლის პრინციპები გაუმჯობესდა და დაიხვეწა. ამავე დროს, ხშირად ხდებოდა ამ პრინციპების გადახედვა მათივე ეფექტური განხორციელების გასაუმჯობესებლად. თუმცა, მიჩნეულია, რომ საერთო სამართალი დაფუძნებულია პრეცედენტულ სამართალზე, არ არსებობს ნებისმიერი კონკრეტული პრეცედენტის მნიშვნელობის კონტროლირებადი ვერბალური ფორმულირება. ის, რასაც ამბობს სასამართლო წინა შემთხვევაზე, ყოველთვის ახლებური ინტერპრეტაციის საგანია ახალი შემთხვევების წარმოშობის დროს. პრეცედენტის მასშტაბი განსაზღვრულია არა მხოლოდ end-in-view-ს სინათლის ფონზე, რომელიც გამოძიებულია სასამართლოს მიერ, რომელმაც გადაწყვიტა ასე, არამედ მხედველობის მიღმა არსებული მნიშვნელობების ფონზე, რადგან ისინი არ არიან ჩართულნი აქტიურ ცნობიერებაში გადაწყვეტილი შემთხვევის ფაქტებით. პრობლემა, რომელიც დასმულია ვიტგენშტაინის ბავშვების თამაშის მაგალითით, საერთო სამართლისთვის ძალიან ნაცნობი და ახლობელია. და შემთხვევითი შეცდომების გამონაკლისის გარდა, ლიტერალიზმში მისი პასუხი ყოველთვის იყო „არა, ის არ გულისხმობდა ამ ტიპის თამაშს“.

ის, რასაც მე საერთო მიზნის კოლაბორაციული არტიკულაცია ვუწოდე, ასევე, შეიძლება ილუსტრირებულ იქნეს ყოველდღიური მაგალითით, რომელიც, მჯერა, ყველასთვის ნაცნობია. ვგულისხმობ, პრობლემისთვის ყოველდღიური გამოყენების სიტყვებით ადეკვატური განსაზღვრების მიცემას. სემანტიკის თანამედროვე განხილვაში ჩვეულებრივი მოვლენაა იმის მტკიცება, რომ ლექსიკო-გრაფი არის მხოლოდ სიტყვების გამოყენების დამკვირვებელი და ჩამნერი. ეს სისულელეა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ნაცნობი სიტყვისთვის სწორი განმარტების მიცემა საკმაოდ შრომატევადი ინტელექტუალური საქმეა. თუ ვინმე აიღებს ისეთ საერთო სიტყვას, როგორიცაა „ღუმელი“ ან „ფული“ და თავის ექსპრომტად გაკეთებულ განმარტებას კარგ ლექსიკონში მოცემულ განმარტებას შეადარებს, დარწმუნებული იყოს, გაიგებს, რომ არსებობს სიტყვის გამოყენების შემთხვევები, რომლებიც შეუმჩნეველი დარჩა ანდა რომლებიც მისთვის უცნობი იყო. მაგრამ ის, რასაც იგი უპირველესად აღმოაჩენს, ისაა, თუ რამდენად საცოდავად დამარცხდა მისი

ფულერი, ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი

საკუთარი განმარტება სიტყვის მიზნობრივი პირთვის მნიშვნელობის გამოხატვაში, იმ სიტყვისა, რომელიც, როგორც მან, ისე ყველამ იცოდა, მაგრამ ვერ შეძლო მცირე დროში სიტყვის განმარტების ადეკვატური ფორმულირება. კარგმა ლექსიკოგრაფია არა მხოლოდ იცის შენზე და ჩემზე მეტი სიტყვის გამოყენება, არამედ მისი ანალიზის უნარმა შესაძლოა მისცეს შესაძლებლობა, იწინასწარმეტყველოს უფრო წარმატებულად, ვიდრე ეს ჩვენ შეგვიძლია, თუ თავადვე როგორ ვიყენებთ ისეთ სიტყვებს კონტექსტში, რომლებთან შეხებაც მანამდე არ გვქონია.

თანამედროვებისთვის დამახასიათებელი ნებისმიერი წარმოდგენის უარყოფა, რომ ადამიანებს ინტელექტუალური რესურსის გაერთიანებით შეუძლიათ მივიდნენ იმ ცოდნამდე, თუ რა არის მათი ნამდვილი მიზანი, ვლინდება ზიზღში, რომლებიც ხვდება ესეებს შემდეგნაირი სათაურებით — „რა არის ხელოვნება?“ რა თქმა უნდა, ასეთი სათაურის მქონე ესეების უმეტესობა პრეტენზიულია და ცარიელი. მაგრამ თანამედროვე უარყოფა არ ეყრდნობა შეთავაზების ხარისხს, არამედ უფრო მეტად დაფუძნებულია პრინციპზე. არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერი ასეთი სათაური იწვევს გაუგებრობას ფაქტსა და ლირებულებას შორის და ზოგადად ემსახურება თალღითური განზრახვის საფარად, რომელშიც გადის ავტორის სუბიექტური აზრი იმის შესახებ, როგორ უნდა გამოისახოს ხელოვნების ჭეშმარიტი არსი — თითქოსდა შესაძლებელი ყოფილიყო ადამიანური ცდის მთავარი არსის აღწერა ამ ცდაში მონაწილეობის გარეშე და თითქოსდა ეს მონაწილეობა ყოფილიყო სხვაგვარი, ვიდრე შემოქმედებითი ნიჭი. თუ პროტესტი გამოითქმება უფრო რადიკალურად, ისე, რომ შეუძლებელი იქნება მისი დაშორება სათაურის შეცვლით — „რა უნდა იყოს ხელოვნება ჩემი აზრით“, შემდეგ ის, რაც რეალურად უარყოფილია, არის რეალობა, რასაც მე მიზნის ერთობლივი გამოყენების კოლაბორაციული არტიკულაცია ვუწოდე.

მჯერა, ეს უარყოფა განსაკუთრებით ტრაგიკულად იგრძნობა დღეს, ჩვენს წარუმატებელ ცდაში, განვახორციელოთ წინა თაობის სამუშაო სოციალური წესრიგის ფორმების ანალიზსა და განილვაში. მე ვიყენებ ამ ტერმინს ზოგადად, რათა მოვიცვა წესები, პროცედურები და ინსტიტუტები, — მოკლედ, ყველა გზა, რომლებშიც ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობა ფორმალურ წესრიგს ექვემდებარება, თანხმობით, ჩვევით ან ბრძანებით. ტერმინი, რო-

მელსაც მე ვიყენებ, გავლენას ახდენს სამართალზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, სოციოლოგიაზე და ეთიკაზე, და თამაშის სისტემასაც კი მოიცავს. თუმცა, ხელშეკრულება, სასამართლო გადაწყვეტილება, უმრავლესობის პრინციპი, სამი დარტყმის და ოთხი ბურთის წესი* — ყველა ეს სოციალური წესრიგის ფორმებია.

ეს ფორმები ზოგადად განიხილება მხოლოდ მათი ყველაზე აშკარა ასპექტის მიხედვით, ანუ, როგორც საშუალებები ადამიანური მიზნის რეალიზაციისთვის. მაგრამ ისინი, აგრეთვე, თავად არიან მიზნები, ორი მეტისმეტად ერთმანეთთან დაახლოებული აზრით. ისინი არიან მიზნები, იმ თვალსაზრისით, რომ, თუმცა ჩვენ ვქმნით მათ, ისინი გვეხმარებიან გვაქციონ ისეთებად, როგორებიც ვართ, ადამიანის დამოკიდებულება საზოგადოებაზე სწორედ ეს არის. ნებისმიერი კონკრეტული ეკონომიკური სისტემა ემსახურება არა მხოლოდ აპრიორული საჭიროებების დაკმაყოფილებას, აგრეთვე, წარმოქმნის საკუთარი საჭიროებების კონკრეტულ მოდელს. მეორე, ნებისმიერი სოციალური წესრიგის ფორმა შეიცავს საკუთარ შინაგან მორალურობას. თუმცა ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ ფეხბურთი ზოგადი სტანდარტის მიხედვით და ვთქვათ, „ფეხბურთი არის კარგი თამაში“, მაგრამ, აგრეთვე, შეგვიძლია შევაფასოთ ის იმ სტანდარტების მოხედვით, რომლებიც შედგენილია მისი შინაგანი მოთხოვნილებების საფუძველზე და ვთქვათ, „ფეხბურთის თამაში შეუძლებელი გახდება, თუ ასეთი ტიპის რაღაცის დაშვება გაგრძელდება“. ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც უთანხმოების მოგვარების საშუალება და შევადაროთ ის იმავე პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ მეთოდებს. ჩვენ, აგრეთვე, შეგვიძლია გავაანალიზოთ მისი შინაგანი მოთხოვნილებები და გავაცნობიეროთ, რომ მოსამართლისა და მედიატორის ფუნქციების შერწყმის ნებისმიერი ცდა სახიფათო წამოწყებაა. და ბოლოს, შეგვიძლია დავეთანხმოთ გამოთქმას — „კენჭისყრა ბოლოს უდებს დავას და ძლიერთა შორის აჩენს სამართალს“*. თუმცა ჩვენ შესაძლოა დიდი სინაწყლით აღვინიშნოთ, რომ სოლომონის სიბრძნე არ გამოიყენებოდა უთანხმოების იმ სახეებისთვის, რომელთა ყველაზე ზუსტად გადაწყვეტაც ხელის ერთი დაკვრით შეიძლებოდა. იმავდროულად, წინასწარგანზრახ-

* Three-Strike, four-ball Rule.

* იგავნი სოლომონისანი, 18:18.

ფულერი, ადამიანური მიზანი და ბუნებითი სამართალი

ული ქმედება, მისი რეალური აზრის არსებობის შემთხვევაში, ქმნის გარკვეულ ტექნიკურ საჭიროებას იმისთვის სოციალური წესრიგის ფორმას მოუხდეს.

ეს შენიშვნები შეიძლება მივიჩნიოთ პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტის სურვილის მაჩვენებლად უფრო მეტად ეკონომიკაში, სამართლსა და პოლიტიკაში, ვიდრე ეთიკის თეორიაში. მე მაინც მჯერა, რომ სოციალური წესრიგის ფორმები მიმოფანტავენ თავიანთ ჩრდილებს ეთიკურ განხილვებში, რომლებსაც არანაირი კავშირი მათთან არა აქვთ. ამგვარად, ჩვენ მივაგენით სრულყოფილ ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას (შეთანხმებას), ან მესამე არადაინტერესებული მხარის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას (სასამართლო განკარგულება), ან უმრავლესობის პრინციპს, რაც გულისხმობს ნაგულისხმევ ამოსავალ დებულებებს განხილვებში, რომლებიც სოციალური ორგანიზაციის მსგავსი ტექნიკური პრობლემებისგან იზოლირებულნი ჩანან.

საკითხები, რომელთა განხილვაც ვცადე ამ დასკვნით შენიშვნებში, მერყეობს ყველაზე უმნიშვნელოსა და მნიშვნელოვანს შორის, რასაც კი შეიძლება ადამიანი პირისპირ შეეჩეროს. ეს საკითხები ერთ დროს აქტიურად განიხილებოდა. ჩვენ ისევ ვცხოვრობთ წინა თაობების მიერ მიღებული დადგენილებებით. რთული წარმოსადგენია, როგორ შეიძლება განახლდეს წინა თაობის შეწყვეტილი საქმე მანამ, სანამ ჩვენ მოვიბოვებთ თანაგრძნობის გარკვეულ ხარისხს ბუნებითი სამართლის სკოლის ძირითადი მიზნების მიმართ.

„პუნქტოი სამართლის ტრადიცია“*

ჯონ მ. ფინისი

დიმიტრი გეგენავას** თარგმანი

ბუნებითი სამართლის ტრადიციაზე საუბარს ნაკლებად აქვს აზრი. „ბუნებითი სამართალი“ (ეთიკის, პოლიტიკის, სამართლისა და იურისპრუდენციის კონტექსტში) უბრალოდ ნიშნავს მართებული წინადადებების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანურ სიკეთეს, მართებული არჩევანის ზოგად მოთხოვნებსა და ამ ზოგადი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სპეციფიკურ მორალურ ნორმებს, რამდენადაც ისინი გარკვეულ ძირითად სიკეთეებთანაა კავშირში. არსებობს ბუნებითი სამართლის თაობაზე თეორიისა და თეორიზების (და ამგვარი თეორიზების თანამედროვე ნიმუშის, გადაწყვეტილების წამდლვარება ამ ტრადიციის კლასიკასთან შესაბამისობაშია) ტრადიცია. „ბუნებითი სამართლის თეორიის ტრადიციას“ სამი მთავარი მახასიათებელი აქვს:

პირველი, ეთიკური სკეპტიციზმის, დოგმატიზმისა და კონვენციონალიზმის კრიტიკა და უარყოფა;

მეორე, დესკრიფიული და ამხსნელი საზოგადოებრივი თეორიების (მაგ., პოლიტიკური მეცნიერება, ეკონომიკა, იურისპრუდენცია...) მეთოდოლოგიების ნათელყოფა;

მესამე, უფლებისა და სამართლიანის აგრეგაციული კონცეფციების კრიტიკა და უარყოფა (მაგ., კონსუებუნციალიზმი, უტილიტარიზმი, კეთილდღეობის მაქსიმალიზაცია, „პროპორციონალიზმი“...)

იურისპრუდენციაში, ტრადიციასთან დამოკიდებულება აჩვენებს:

(1) როგორ ივარაუდებს სამართლის გაგება საზოგადოების, სამართლიანობისა და უფლების, და ხელისუფლების, როგორც არჩევანისა და ქმედების მიზეზთა, პრაქტიკულ გაგებას (მაგ., არსის, სიკეთის გაგება);

* თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: John M. Finnis, The “Natural Law Tradition”, Journal of Legal Education, Vol.36, 1986.

** სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, JMG & Partners-ის მმართველი პარტნიორი.

ფინისი, ბუნებითი სამართლის ტრადიცია

(2) სამართლის განსაზღვრება (მაგ., ვიღაცების გაგებათა შეჯამება) როგორ შეიძლება და უნდა მოიცავდეს მითითებას მორალურ ფუნქციებსა თუ სამართლის არსებები (განსაკუთრებით, თუმცა არა მხოლოდ, სამართლის უზენაესობის პროცედურულ იდეალებზე), იურისტების მიერ იურისპრუდენციის დაუფლების პროცესში ამორალური კანონების გამორიცხვის გარეშე;

(3) როგორ გამომდინარეობს პოზიტიური კანონები ბუნებითი სამართლიდან (მორალური პრინციპებიდან), როგორც მინიმუმ ორი რადიკალურად განსხვავებული გზით;

(4) უსამართლო კანონებს, კანონებად არსებობისას, როგორ შეუძლიათ შექმნან მორალური ვალდებულებები, მაგრამ ყოველთვის მოიშორობ მორალური ავტორიტეტი (და ამგვარად, ხასიათის ნაწილი), რაც კანონებს, კანონიერად შექმნის წყალობით, ხასიათობრივად აქვთ.

A. ეთიკური სკეპტიციზმის, დოგმატიზმისა და კონვენციონალიზმის წინააღმდეგ

(a) ძირითადი ადამიანური სიკეთიდან (სიმართლე და ცოდნა) მინიმუმ ერთის სკეპტიკური უარყოფებიც კი თვითუარყოფებია. ბუნებითი სამართლის თეორია არის თეორია, რომელიც ცდილობს, გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ამის გაკეთება (ან გამოკითხვა) საყურადღებოა. თეორიები, რომლებიც არ ტოვებენ სივრცეს თავიანთი არსებობის, ან მათივე ლირებულებების მიღევნების ფაქტისთვის, თვითუარყოფელები არიან.

(b) ძირითადი ადამიანური სიკეთის ან/და პრაქტიკული მიზან-შეწონილობის მოთხოვნათა თაობაზე თანამედროვე სკეპტიციზმთა უმეტესობა ეფუძნება „არსიდან“ „ჯერარსამდე“ ლოგიკურად აკრძალულ გადასვლას (რაც, თანამედროვე ეპოქისთვის ჩვეულებრივი მახასიათებელია). მაგალითისთვის:

- მსურს X-ის დამტკიცება, ასე რომ X კარგია (საყურადღებო... ან მავალდებულებელი..., ან...)
- მევალება, მივიღო, ავარჩიო, შევადარო, გადავწყვიტო... პრაქტიკული პრინციპი, რომ X... ასე რომ, X უნდა შესრულდეს
- თანამედროვე აზროვნებაში/თანამედროვე საზოგადოებაში, X ფართოდ მიიჩნევა, როგორც [არა] კარგი/მავალდებულებელი, შესაბამისად, X არის [არა] კარგი/მავალდებულებელი.

- X არაა უნივერსალური/საყოველთაოდ მიჩნეული, როგორც კარგი/მავალდებულებელი.

ექსპტლიციტური ბუნებითი სამართლის თეორია შეიმუშავეს პლატონმა და არისტოტელემ, სწორედ როგორც ამათი მსგავსი, *non sequiturs* კრიტიკა. ეს თეორეტიკოსები და მიმდევრები, როგორც აქვინელი, მხედველობაში იღებენ არსა და ჯერარსს, ფაქტსა და ღირებულებებს შორის განსხვავებას, გაცილებით უფრო მეტი სიფრთხილით, ვიდრე, მაგალითად, დევიდ ჰიუმი. საწინააღმდეგო მტკიცებები მითია და მცდარი წაკითხვა.¹

სკეპტიციზმის კრიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე იურისპრუდენციის მთავარ სტრატეგიასთან: ყურადღება მიმართულია არა უბრალოდ სტრუქტურის, პრაქტიკის ან გრძნობის გარეგან მხარეზე, არამედ ხასიათობრივ მიზეზებზე, რომელთა გამოც ხალხს უწევს, იმოქმედოს ისეთი გზებით, რომლებიც გამორჩეული სოციალური ფენომენის (როგორიცაა სამართალი) დაფუძნებამდე მიდის. იურისპრუდენცია სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების სახეებს უზრუნველყოფს.

შენიშვნა: დაკავშირებულია რა ჭეშმარიტებასთან, ბუნებითი სამართლის თეორია სრულიად განირჩევა პოლიტიკური, მათ შორის, კონსერვატიული, ლიბერალური, რადიკალური და ა.შ. მოძღვრებებისგან.

B. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიაზე

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ „ანალიტიკური იურისპრუდენცია“ თუ „სამართლის დესკრიფიული სოციოლოგია“, შექმნილი ბენტამის, ხოლო განვითარებული ოსტინის, კელზენის, ვებერის, ჰარტის, რაცისა და სხვათა მიერ, მეთოდოლოგიურ თვითნებობას თავს აღწევს მხოლოდ, ანალიზს, აღწერასა და ახსნაში გამოყენების მიზნით, კონცეფციათა შერჩევასა ან/და ფორმულირებაში უდავო შეფასებათა წინასწარჭვრეტით. თუმცა იგი მიმართულია თვითნებობისკენ, რამდენადაც (ბენტამის, ოსტინისა და კელზენის შემთხვევაში) უარყოფს და ახშობს ამ შეფასებებს, ან (ვებერისა და ჰარტის შემთხვევაში) მათ არაგანხილვად შესაძლებლობებად ან წინასწარ ვარაუდებად აცხადებს.²

¹ ბოლო ორი წინადადების ტექსტობრივი დადასტურებისთვის იხ., Finnis J., Natural Law and Natural Rights, 330-38, 470-48, 53-55. (Oxford and New York, 1980).

² იხ., Finnis J., supra note 1, chapter I; და John Finnis, On “Positivism” and “Legal Rational Authority”, Oxford J. Legal St. 74-90 (1985).

ფინისი, ბუნებითი სამართლის ტრადიცია

ბუნებითი სამართლის თეორია სრულად ალიარებს დესკრიფ-
ციულ/ამხსნელ სოციალურ მეცნიერებებს (რომლისთვისაც არის-
ტოტელს „პოლიტიკის“ ძირითადი ნაწილი აღრეული მოდელია),
სოციალურ წესრიგში უფლებისა და სიკეთის თაობაზე
გამამართლებელი/კრიტიკული პრაქტიკული მსჯელობისგან სრუ-
ლიად განსხვავებულს. თუმცა ბუნებითი სამართლის თეორია
ამტკიცებს, რომ სოციალური დესკრიფციისა და ახსნისთვის
შინაარსის ჩამოყალიბება და შერჩევა არის და (სანამ ისინი
შეზღუდულად რჩება) უნდა იყოს ნახელმძღვანელები შეფასებებით,
ადამიანურ მდგომარეობათა თაობაზე რომელი კრიტიკული
რეფლექსია კრიტიკულად დამტკიცებული.

მოკლედ, ბუნებითი სამართლის თეორია ცდილობს, იმოქმედოს
ლიად, კრიტიკულად და განხილვით, რასაც სხვა ანალიტიკური და
დესკრიფციული თეორიები მაღლად და დოგმატურად აკეთებენ.
როცა ერთი ალიარებს განსაზღვრებათა მეთოდს, რომელიც
არისტოტელებმ გამოიყენა (ცენტრალურ და მეორეულ შემთხვე-
ვებში, პრაქტიკული გონიერების მქონე პიროვნების მიერ
განსჯილი), მას შეუძლია დაინახოს, რომ მისი საზოგადოებრივ-
მეცნიერული მეთოდოლოგია (როგორც მისი ისტორიოგრაფიულად
პრიმიტიული გამოვლინებებისგან განსხვავება) გაცილებით უფრო
სოფისტურია და უფრო ღია ახალი მონაცემებისა და გაუმჯო-
ბესებული გაგებისთვის, ვიდრე ამ სფეროში არსებული
თანამედროვე შრომების უმრავლესობა.

C. უფლების აგრეგაციული თეორიის კრიტიკა

უფრო მნიშვნელოვანი (ეთიკისთვის, პოლიტიკური თეორიისაა და
იურისპრუდენციისთვის) ვიდრე ადამიანურ სიკეთეთა მოცემუ-
ლობაა, არის ეთიკური რეფლექსის მეორე დონის მოცემულობა,
რომელიც განსაზღვრავს „პრაქტიკული მიზანშეწონილობის
მოთხოვნებს“ ან „პასუხისმგებლობის სახეებს“. თანამედროვე
ეთიკისა და იურისპრუდენციის მოსაზრებათა უმეტესობა არაკრი-
ტიკულად უშვებს, რომ მიზანშეწონილობა სიკეთეებისა თუ
ღირებულებების აგრეგაციას მოითხოვს. თუმცა უბრალო
სიკეთეების (პროექტების, ან პირდაპირ განსაზღვრული ვალდებუ-
ლებების შესრულება) მიერ ჩამოყალიბებული კონტექსტების მიღმა,
მორალურად თუ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი არჩევანის
მდგომარეობებში არ არსებობს წმინდა უდიდესი სიკეთე ან ნაკლები
ბოროტება, რომელთა აგრეგაციული დაანგარიშება ან განსაზღვრა
შეიძლება. რწმენა, რომელიც არსებობს, არა უბრალოდ პრაქტი-
კულად ქიმერული, არამედ თავისუფალ არჩევანთან შეუთავსებელი
და შეუსაბამოცაა.

ადამიანის უფლებებსა და ინსტიტუტებს, როგორც სამართლის უზენაესობას, დაშვებულად აქვთ ფორმა, რომელსაც ისინი ახორციელებენ უბრალოდ იმდენად, რამდენადაც აგრეგაციული ეთიკურ/პოლიტიკური მეთოდები დაუშვებელია გაუმართლებელია. „ადამიანურობის“ პატივისცემისა და პატიოსნების კანტისეული პრინციპები გაცილებით უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე ბევრი უტილიტარისტული, მაგრამ საჭიროებენ (და შეუძლიათ მიღონ) მხარდაჭერას, ადამიანური ბუნებისა („ადამიანურობა“) და ძირითადი ადამიანური სიკეთებიდან ნაწარმოები — ძირითადი პრაქტიკული პრინციპების ხარჯზე.

ძალაუფლების სახელშეკრულებო ფორმების ან ნებაზე დაფუძნებულ ხელშეკრულების თეორიებზე უფრო სიღრმისეულად, ბუნებითი სამართლის თეორიას შეუძლია მოგვცეს ტრადიციული იურისპრუდენციის პრობლემების უკეთესი ანგარიში, როგორიცაა მბოჭავი ჩვეულებების (როგორც საერთაშორისო სამართალში) ჩამოყალიბება, რევოლუციებს შორის სამართლის განგრძობადობა, *de facto* ხელისუფლებათა ძალაუფლება, სახელშეკრულებო და სხვაგვარ ვალდებულებათა შორის ურთიერთობები, დელიქტსა და ზიანის ანაზღაურების სხვა სქემათა შორის ურთიერთობები და ა.შ.

D. შენიშვნა იურისპრუდენციის სწავლებაზე

იურისპრუდენცია, ჩემი აზრით, შესაძლებელია კარგად იქნეს წარმოდგენილი „სამართლის შესავლის“ კურსებში:

(a) რათა აჩვენოს სამართლის უზენაესობის პროცედურული/საკონსტიტუციო სტანდარტები (კარგად გადმოცემული ფულერის „სამართლის მორალურობაში“, II და VI თავები) სამართალს (და ჩვენს სამართალს) როგორ უკავშირებს პოლიტიკურ თეორიას (და ჩვენი სახელმწიფო მოწყობის რწმენასა და ვალდებულებებს) და რა მცირე მოცულობითაა მაღალ სპეციფიკურ და საკამათო სამართლებრივ წესებსა და ინსტიტუტებში;

(b) რათა აჩვენოს კერძო სამართლის ინსტიტუტები, როგორიცაა ზიანი, ხელშეკრულება ან გადახდისუნარობა, როგორ წარმოადგენს მორალურ კონცეფციებს, გავითარებულს ნაწილობრივ გამოყენებით, ნაწილობრივ განსაზღვრებით (კონსტრუქციული, არადედუქციური და ამ გაგებით, „თავისუფალი“, ზოგადი ცნებების იმპლემენტაცია თუ სპეციფიკაცია), და შემდეგ ნაწილობრივ კონსისტენციის განხილვებით, რაც ნაწილობრივ დედუქციურია.³

³ იხ., მათ შორის რეფლექსიები გაკოტრების სამართალზე Finnis, supra note 1, 188-93.

ფინისი, ბუნებითი სამართლის ტრადიცია

„იურიისპრუდენციისადმი“ მიძღვნილი კურსები საჭიროა უშუალოდ იქნეს დაკავშირებული ზემოთ მოცემულ მეთოდოლოგიურ საკითხებთან, როგორც გარევეულ იურისტთა (ნაკლებად მნიშვნელოვანია, რომელი სუბსტანციური იურისტის, ცოცხალის თუ გარდაცვლილის) სასარგებლო ნაშრომებზე რეფლექსიის ფარგლებთან. ამ საკითხებზე რეფლექსია „ბუნებითი სამართლის თეორიაზე“ რეფლექსია; უფრო მეტიც, იგი (რაც არ უნდა იარღიყი მიაწებონ) ბუნებითი სამართლის თეორიის განხორციელებაა — სანამ, რა თქმა უნდა, წინასწარ განისაზღვრება, რომ პასუხები სკეპტიციზმის ან „თანამედროვე პიროვნული კონვენციონალიზმის“, ან მეთოდოლოგიური პაროქიალიზმის ან სამართლიანობის ზოგიერთი წმინდა აგრეგაციული თეორიის სასარგებლოდ გაიცემა.

„სპარტული ფოლადის“ საქმე

თამთა პატარძე*

I. ფაქტობრივი გარემოებები

„სპარტული ფოლადის“ საქმე¹ ინგლისის სააპელაციო სასამართლოს საქმეებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. იგი დაუდევრობით გამოწვეული „წმინდა ეკომონიკური ზარალის“ ანაზღაურების საკითხს ეხება. საქმეში მონაწილეობდნენ მოსარჩელე შპს „სპარტული ფოლადი და ელოისი“² და მოპასუხე შპს „მარტინი და კონტრაქტორები“.

1969 წლის ივნისში შპს „მარტინი და კონტრაქტორების“ თანამშრომლები გზაზე ექსკავატორით აწარმოებდნენ სამუშაოებს შპს „სპარტული ფოლადი და ელოისის“ ქარხანიდან მეოთხედი მილის დაშორებით. სამუშაოების დაწყებამდე კომპანიის თანამშრომლებს გადასცეს გეგმა, რომელიც აჩვენებდა მიწისქვეშ არსებულ გაყვანილობებს, რათა მუშაობისას გაეთვალისწინებინათ. სამწუხაროდ, შპს „მარტინი და კონტრაქტორების“ თანამშრომელმა არ გაითვალისწინეს გეგმაში მითითებული მონაცემები და დაუდევრობით, ექსკავატორის ჩამჩით კაბელები დააზიანეს³. ამ პერიოდში ზემოთმითითებული კაბელების საშუალებით ელექტროენერგია მიეწოდებოდა შპს „სპარტული ფოლადი და ელოისის“ ქარხანას, რომელიც მუშაობდა შეუჩერებლად — 24 საათიანი გრაფიკით.

ექსკავატორის ჩამჩით მიყენებული დაზიანების გამო, მიღლენდცის ელექტროსადგურმა შპს „სპარტული ფოლადი და ელოისის“ ქარხანა ელექტროენერგიის კვების ბლოკიდან 15 საათით

* სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი (კავკასიის სამართლის სკოლა), ადვოკატი.

¹ *Spartan Steel and Alloys Ltd. v. Martin & Co (Contractors) Ltd. [1972] EWCA Civ 3 (22 June 1972)*

² „სპარტულ ფოლადს“ ეკუთვნოდა ქარხანა ბირმინგემში, სადაც ფოლადს აწარმოებდნენ. კომპანია წარმოებისთვის ელექტროენერგიას იღებდა პირდაპირი კაბელების მეშვეობით მიდლენდის ელექტროსადგურიდან (საჯარო დაწესებულება). იმ პერიოდში სწორედ ეს ელექტროსადგური იყო პასუხისმგებელი ელექტროენერგიის წარმოებაზე ინგლისში.

³ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს კაბელები არ იყო შპს „სპარტული ფოლადი და ელოისის“ საკუთრება.

პაიჭაძე, „სპარტული ფოლადის“ საქმე

გამორთო. სწორედ ამ ელექტროენერგიის კვების ბლოკის გაითიშვის დროს ქარხანაში მუშაობდა ელექტრორკალური ღუმელი, რომლითაც მუშები ფოლადს ადნობდნენ და ზოდებად გარდაქმნიდნენ. შესაბამისად, ელექტროენერგია საჭირო იყო სამუშაო პროცესისთვის, რათა ტემპერატურა შენარჩუნებულიყო და მეტალი დამდნარიყო⁴.

კომპანიის თანამშრომლების მიერ ექსკავატორით ჩადენილი დაუდევრობით გამოწვეული ავარიის შედეგად შპს „სპარტული ფოლადი და ელოისის“ მიერ მატერიალური ზიანი შეფასებულ იქნა 368 ფუნტად; მიუღებელი მოგება — 400 ფუნტად და წმინდა ეკონომიკური მოგება — 1767 ფუნტად⁵.

მოსარჩელე ითხოვდა ყველა იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც კონტრაქტორებისგან ჩადენილი დაუდევრობით დადგა. მოსარჩელის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ არსებობდა ინგლისური სამართლის პრინციპი „პარაზიტული ზიანის“ თაობაზე. ამით იგი მიანიშნებდა ყველას, რომ არსებობდა გარკვეული სახის ზიანი, რომელიც თუკი განყენებულად იქნებოდა განხილული, არ ანაზღაურდებოდა. მაგრამ თუკი ისინი რომელიმე სხვა სამართლებრივ ზიანის მოთხოვნას მიებმებოდა, მათი ანაზღაურება შესაძლებელი იქნებოდა. ისინი იწოდებოდნენ „პარაზიტულად“, რადგან ბიოლოგიაში ცნობილი პარაზიტების მსგავსად, დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლოთ. ამ პრინციპზე დაყრდნობით წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ, თუკი იმ ოთხი ფრაქციის გადნობის ეკონომიკური ზიანი (1767 ფუნტი) განყენებულად განიხილებოდა, ის არ ანაზღაურდებოდა, როცა სხვა მოთხოვნასთან მიბმით მოპასუხე ვალდებული იქნებოდა, ეს ზიანიც აენაზღაურებინა. მოსარჩელის წარმომადგენლი აცხადებდა, რომ: „თუკი დელიქტური ზიანი მიადგა მოსარჩელეს, მას ამ ქმედებით მიყენებული ყველა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს და არა ნაკლებ ამისა, რადგან მას არ ექნებოდა მოთხოვნის წამ-

⁴ ქარხანას ელექტროენერგიის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ღუმელში არსებული მეტალის გამაგრების და შემდგომში ღუმლის შეერთებების დაზიანების საშიშროებაც ექმნებოდა.

⁵ იმ 15 საათის განმავლობაში, როდესაც ელექტროენერგია გამორთული იყო, მოსარჩელე შეძლებდა დამატებით ოთხჯერ გაედნო ღუმლის მოცულობის მასალა და იმის გამო, რომ იძულებული გახდა, გაჩერებულიყო, მან ეს დამატებითი მოგება დაკარგა.

ოყენების უფლება გარკვეულ ნაწილზე, ამ ზიანს ის დელიქტური ზიანიც რომ არ წარმოეშო ”⁶.

მოპასუხის პოზიციით, ის პასუხისმგებელი იყო მატერიალურ ზიანზე 368 ფუნტის ნაწილში. არ უარყოფდნენ, რომ, ასევე, პასუხისმგებელი იყო 400 ფუნტზე (ელექტროენერგიის შეწყვეტით გამოწვეული შეჩერების დროს ღუმელში არსებული კონკრეტული დნობის პროცესიდან მიუღებელ მოგებაზე), რადგან ეს ნამდვილად ირიბი შედეგი იყო მატერიალური ზიანიდან გამომდინარე. თუმცა ისინი მკაფიოდ უარყოფდნენ, რომ პასუხისმგებელი იყვნენ 1767 ფუნტზე, რადგან ეს იყო წმინდა ეკონომიკური ზარალი.

„პარაზიტულ ზიანთან“ დაკავშირებით მოპასუხის წარმომადგენელი ამტკიცებდა შემდეგს: „მე არ მჯერა, რომ მსგავსი დოქტრინა არსებობს. ყველა საქმეში კარგი დასაბუთებაა დამატებითი ზიანის ანზღაურების თაობაზე არა იმიტომ, რომ ისინი არაადეკვატური იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ გამომდინარეობდნენ ბუნებრივად და პირდაპირ არასწორი ქმედებიდან და გონივრული იქნებოდა და შესაძლებელი იყო მათი, როგორც ქმედების შედეგების, წინასწარ განჭვრეტა“⁷.

II. ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლომ ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს „სპარტული ფოლადსა და ელიოსს“ შეუძლია აინაზღაუროს: ღუმლის დაზიანებით გამოწვეული ზიანი, ღუმელში არსებული ფოლადის დაზიანებით გამოწვეული ზიანი და ის მოგება, რომელიც ამ უვარგისი ფოლადის მოგებით შეეძლო მიეღო. სასამართლოს აზრით, მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება, მოეღო ის დანაკლისი, რაც 15 საათიანი გაჩერებით იქნა გამოწვეული. ამ გადაწყვეტილებას განაპირობებდა ის, რომ ფოლადის დაზიანება იყო „მატერიალური ზიანი“ (პირდაპირ შედეგობრივი), ხოლო ფოლადით მიღებული შემდგომი მოგება — „უშუალოდ ირიბი“ მოგება, გამოწვეული და მიღებული, როგორც „წმინდა ეკონომიკური ზარალი“.

⁶ იხ., <<http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/1972/3.html>> [07.01.2017]

⁷ იქვე.

პაიჭაძე, „სპარტული ფოლადის“ საქმე

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შემადგენლობა უმრავ-ლესობით ეთანხმებოდა, რომ შპს „მარტინ და კონტრაქტორებს“ უნდა გამოეჩინა სიფრთხილე შპს „სპარტული ფოლადი და ელოისის“ მიმართ, რადგან ზიანი არ იყო ძალიან შორეული და შესაძლებელი იყო მისი წინასწარგანჭვრეტა, მათ უარი თქვეს „წმინდა ეკომონიკური ზარალის“ ანაზღაურებაზე და ეს პოლიტიკური მიზ-ეზების გამო მოხდა. აღნიშნული მოსამართლე დენინგმა თავის განსხვავებულ აზრში აღწერა, სადაც მოიტანა მყარი არგუმენტები, მათ შორის იმაზე მითითებით, რომ მთელი სისტემის ავარია არის საერთო საშიშროება და რისკი, რომელიც შესაძლებელია ყველამ განიცადოს და დროდადრო ყველა ვალდებულია, იგი ითმინოს. ამასთან, მისი თქმით, თუკი მსგავს საქმეებში „წმინდა ეკონომიკური ზარალი“ ნებადართული იქნება, ამან შეიძლება მიგვიყვანოს მოთხოვნებამდე, რომელთა დათვლაც შეუძლებელი გახდება და ზოგიერთი მათგანი ყალბიც კი აღმოჩნდება. თუმცა, ის განმარტავს, რომ უსამართლობა იქნება, თუკი ასეთ შემთხვევებში ერთი ადამიანის ზურგზე გადავა მთელი დანაკარგი და სწორედ ამიტომაც კანონმა მოსარჩელე არ დატოვა ანაზღაურების გარეშე, მისცა რა მას საშუალება, აღედგინა ეკონომიკური დანაკარგები, რომლებიც მატერიალური ზიანისგან პირდაპირ გამომდინარეობდა.

ამავე განსხვავებულ აზრში, მოსამართლე დენინგმა განაცხადა: „მე უარვყოფ ბატონი ბაფასატის არგუმენტაციას, რომელიც „პარაზიტულ“ ზიანს ეფუძნება“⁸. იგი ამტკიცებდა, რომ თუკი არსებობდა რაიმე სახის შეზღუდვა ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებაზე, ეს უნდა ყოფილიყო პასუხისმგებლობის სფეროს და არა ზიანის ანაზღაურების ფორმის შეზღუდვის კუთხით. მისი თქმით, მოცემულ საქმეში მოპასუხეს (საერთო აღიარებით როგორც გამოჩნდა) ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მოსარჩელის მიმართ და ეს მან დაარღვია. ეკონომიკური ზარალი შეიძლებოდა მათ წინასწარ განეჭვრიტათ, შესაბამისად, ის უნდა ანაზღაურდეს. არგუმენტების მიუხედავად, სასამართლომ ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების შესახებ კითხვა პოლიტიკის საკითხად მიიჩნია. დენინგის შეფასებით, თუკი სასამართლომ გაავლო ხაზი — ვალდებულებათა საზღვრების მოსანიშნად, ეს გაკეთდა პოლიტიკის გამო, რათა მოპასუხის პასუხისმგებლობა შეეზღუდათ.

⁸ იხ., იქვე.

ბევრ საქმეში, სადაც ეკონომიკური ზიანი არ იქნა ანაზღაურებული, გადაწყვეტილება ეყრდნობოდა იმ საფუძველს, რომ მოპსუხე მოსარჩევის მიმართ ვალდებული არ იყო⁹. ბევრ სხვა საქმეში, მოპასუხეები ნათლად იყვნენ მოსარჩევის მიმართ ვალდებული, მაგრამ ეკონომიკური ზიანი არ ანაზღაურებულა, რადგან იგი „ძალიან შორეული“ იყო.

საქმებში, სადაც ეკონომიკური ზიანი ანაზღაურებადად მიიჩნიეს და ანაზღაურდა კიდეც, ცხადია, არსებობდა ვალდებულება მოსარჩევის მიმართ და ზიანი არ იყო „ძალიან შორეული“. როდესაც ერთი გემი შემთხვევით დააზიანებს მეორე გემს, იმ შედეგით, რომ იგი ხელახლა უნდა დაიტვირთოს. შემთხვევითი გემი ვალდებულია ტვირთის მესაკუთრეების მიმართ: მათ უნდა აანაზღაურონ გადმოტვირთის და ხელახალი დატვირთვის ღირებულება, რადგან ეს არ არის „ძალიან შორეული“ ზიანი¹⁰.

ბატონი დენინგის შეხედულებით, უმჯობესია დამყარდეს პრაქტიკული ურთიერთობები, რომელთა დროსაც ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს, ანაზღაურდეს თუ არა ეკონომიკური ზიანი. ზოგჯერ არა აქვს მნიშვნელობა, იმ საფუძვლით არ ავანაზღაურებთ, რომ ვალდებულება არ არსებობს, თუ იმ საფუძვლით, რომ დაზიანება „ძალიან შორეულია“.

⁹ მაგალითად, ადამიანი დაშავდა საგზაო შემთხვევისას სხვისი დაუდერობით. აქ მძღოლს აქვს ვალდებულება დაზარალებულის მიმართ, მაგრამ არა მისი მოსამასახურის მიმართ, ისევე, როგორც მის უფროსის მიმართ. არც სხვა პირის მიმართ, რომელმაც განიცადა ზიანი, რადგან მას ჰქონდა ხელშეკრულება დაზარალებულთან. არც არავინ სხვა პირთან, რომელმაც მიიღო ეკონომიკური ზიანი ამ შემთხვევის გამო. მაგალითად, როდესაც ქონება დაზიანებულ იქნა ვილაცის დაუდევრობით, ამ დადევრობის ჩამდენი მხარე პასუხისმგებლია მესაკუთრის ან მფლობელის წინაშე, მაგრამ არა მიმის მიმართ, ვინც განიცადა ზიანი მხოლოდ მიმის გამო, რომ მას ჰქონდა ხელშეკრულება, რომელიც ამ პირს უფლებას აძლევდა, ესარგებლა ქონებით ან მიეღო სამომავლოდ გარკვეულ დროს.

¹⁰ მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, წყალი გადმოგიდა რეზერუარიდან და დატბორა ქვანახშირის მაღარო, სადაც ბევრი ადამიანი მუშაობდა. მათ, ვისაც დაუზიანდათ იარაღები და ტანსაცმელი, შეეძლოთ ამის ანაზღაურება, მაგრამ მათ, ვინც მხოლოდ ხელფასები დაკარგეს, არ შეეძლოთ. მსგავსად, როდესაც მოპასუხის გემმა შემთხვევით ჩაძირა სხვა გემი, რომელიც ბუქსირით იქნა ამოღებული, ბუქსირის მესაკუთრემ დაკარგა მისი ანაზღაურება. ამ ტიპის საქმეებში, თუკი მოსარჩევ ან მისი ქონება ფიზიკურად დაზიანდა, ის ანაზღაურდებდა, რადგან ზიანი კანონითაა გაწერილი.

პაიჭაძე, „სპარტული ფოლადის“ საქმე

მოცემულ საქმეში ელექტროსადგური, რომელიც ვალდებულია, ელექტრონერგიით უზრუნველყოს უბანი, უბნის მოსახლეობა და მათ შორის, ეს ქარხანა, რომელსაც ზიანი მიადგა. კანონის თანახმად, ეს ელექტროსადგური ვალდებულიამ უწყვეტად მიაწოდოს ელექტრონერგია კონტრაქტორებსაც, რომლებმაც მინა ამოთხარეს. მსგავსი ურთიერთობები თავს იჩენს ბუნებრივი აირისა და წყლის შემთხვევებში. სადენი შესაძლებელია დაზიანდეს დაუდევრობით კონკრეტული პირის, ხელშეკრულების მხარის მიერ, ან შემთხვევით, — ვინმეს დაუდევრობით. ეს ელექტრონერგია შეიძლება შეწყდეს სადენების შეკეთებისას, მოკლე ჩართვის გამო და ა.შ. თუკი ეს გათიშვა მომხმარებლისთვის ეკონომიკურ ზიანს იწვევს, იგი უნდა აღდგეს და ანაზღაურდეს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვის მიმართ უნდა ანაზღაურდეს?

ზემოთმითითებული კითხვების მიმართ მიდგომები განსხვავებულია. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თუკი სადგური არ უზრუნველყოფს ელექტროობის შესაბამის ძაბვას ან/და წნევას ან შეწყვეტს მათ მოწოდებას სარემონტო სამუშაოების საფუძვლით ან სხვა მიზეზით და ამით მომხმარებლებს ზიანს მიაყენებს, ისინი პასუხს არ აგებენ ზიანზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პასუხისმგებელი არიან დაუდევრობისთვის. ამ შემთხვევაში ერთადერთი საშუალებაა, დაინყოს დევნა სადგურის წინააღმდეგ. თუმცა არავინ ისახავს მიზნად, სადგურის მიმართ პასუხისმგებლის დაკისრებას. ფაქტია, რომ ამ საქმეში იყო მხოლოდ ირიბი ზიანი მოსარჩელისთვის, მაგრამ არაა ანაზღაურებადი. თუკი ეს იყო კანონმდებლობის პოლიტიკა ელექტროსადგურის მიმართ, საერთო სამართლის მიხედვით, მისაღები იქნება მსგავსი პოლიტიკა კონტრაქტორების მიმართაც. თუკი ელექტროსადგური არაა პასუხისმგებელი დაუდევრობით გამოწვეული ეკონომიკური ზიანისთვის, რომელიც მიწოდების შეწყვეტამ გამოიწვია, არც კონტრაქტორი უნდა იყოს ვალდებული, პასუხი აგოს ამ შეწყვეტით დამდგარ ზიანზე.

მეორე პოზიცია შემდეგ მიდგომას ავრცელებს: ელექტრონერგიის მიწოდების შეწყვეტა — ეს არის რისკი, რომელსაც ჩვენ ყველანი ვიღებთ. იგი შეიძლება გამოწვეული იქნეს პატარა სქემის დაზიანებით, ელვით, სადენებზე ხეების დაცემით ან სადენების შემთხვევითი დაზიანებით და ა.შ. გასათვალისწინებელია ის ფაქტი,

რომ როდესაც ეს ხდება, იგი ავტომატურად ბევრ ადამიანს ეხება. აღნიშნული კი ანაზღაურების საკითხს ართულებს.

III. დუორკინის განსხვავებული შეხედულება და გადაწყვეტილების შეფასება¹¹

დუორკინის აზრით, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა აირჩიოს, რისგან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას: პრინციპიდან გამომდინარე (უპასუხებს შეკითხვას, ჰქონდა თუ არა მოსარჩელე კომპანიას უფლება, მოეთხოვა ანაზღაურება) თუ პოლიტიკიდან გამომდინარე (ეს იქნება ეკომონიკურად არა-მომგებიანი გადაწყვეტილება, თუკი პასუხისმგებლობას გავავრცელებთ ყველა მსგავს შემთხვევაზე, რომელსაც მოსარჩელე სასამართლოს სთავაზობს? ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ თუკი მოსამართლები კანონმდებლებს ანაცვლებენ, მაშინ სასამართლო მზად უნდა იყოს, მოსარჩელის სასარგებლოდ გამოიტანოს გადაწყვეტილება. მისი თქმით, ესაა ის, რაც იგულისხმება პოპულარული იდეის ქვეშ, რომ სასამართლო უნდა იყოს თავისუფალი გადაწყვიტოს ახალი საქმე, მათ შორის, ისეთიც, როგორიცაა „სპარტული ფოლადის“ საქმე. დუორკინის შეხედულებით, ყველაფრის მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, რთულ შემთხვევებშიც, უნდა ეფუძნებოდნენ პრინციპების და არა პოლიტიკის არგუმენტების.

სასამართლოს ამ უფლებამოსილებას, განმარტოს და გაავრცელოს კანონი ან/და შექმნას ახალი კანონი, ორი ურთიერთ-სანინააღმდეგო არგუმენტი აქვს: პირველები ფიქრობენ, რომ საზოგადოება უნდა იმართებოდეს კაცებისა და ქალების მიერ, რომლებიც აირჩიეს და შესაბამისად, პასუხისმგებელნი არიან უმრავლესობის წინაშე. ხოლო რადგან მოსამართლეები, უმეტეს წილად, არ არიან არჩეულნი, შესაბამისად, არ არიან პასუხისმგებელნი უმრავლესობის წინაშე ისე, როგორც კანონმდებლები. ამიტომ გარკვეული დათმობა გამოდის, როდესაც მოსამართლეები სამართალს ქმნიან.

¹¹ ძირითადად ეფუძნება შემდეგ წყაროს: Dworkin R., Hard Cases, Harvard Law Review, Vol.88, No.6, 1975, 1057-1109.

პაიჭაძე, „სპარტული ფოლადის“ საქმე

მეორე ნაწილი ამბობს, რომ მოსამართლები ქმნიან ახალ კანონს და უკუძალას ანიჭებენ მას, შედეგად, ნაგებული მხარე ისჯება არა იმისთვის, რომ მან გარკვეული ვალდებულებები დაარღვია, არამედ იმისთვის, რომ დაარღვია შემთხვევის შემდეგ შექმნილი ახალი ვალდებულება.

ეს ორი არგუმენტი აერთიანებს ტრადიციული იდეის მხარ-დამჭერებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები შეძლების-დაგვარად არაორიგინალური უნდა იყოს. თუმცა ისინი, ასევე, გვთავაზობენ უფრო ძლიერ პროტესტს პოლიტიკის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ, მაშინ, როდესაც მსგავსი პროტესტი არ ვლინდება პრინციპებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემთხვევებში.

პირველი ნაწილის პიზიცია, რომ კანონები უნდა მიიღონ არჩეულმა და შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირებმა, უნაკლო ჩანს, როდესაც ვფიქრობთ კანონზე, როგორც პოლიტიკაზე. მაშინ, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ პოლიტიკური პროცესების მართვის გზით. დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას შეუძლია იმუშაოს მიუკერძოებლად და გულგრილად, მაგრამ ის მუშაობს უკეთ, როდესაც მოსამართლებს არ ჰყავთ ლობისტი ან/და არ ჰყავთ ძალის მქონე ჯგუფები, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ მათ ინტერესებს პალატებში.

ცხადია, მოსამართლე, რომელიც იმართება პოლიტიკურად ან რაიმეს გავლენის ქვეშაა, ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც პრინციპებზე იქნება დამყარებული. თუმცა მოცემული რთული საქმე მოსამართლეებმა გადაწყვიტეს ნარმატებით პრინციპებიდან და არა პოლიტიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი იყო, მხარეს დაემტკიცებინა, რომ ეს არ იყო გამონაკლისი და სპარტული ფოლადის საქმე ზოგადი პრინციპიდან გამომდინარეობდა, რაც მოსარჩელის ნარმომადგენლებმა სრულყოფილად ვერ შეძლეს, სწორედ ამიტომ, სასამართლომ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო და მოპასუხეს მხოლოდ დადასტურებული, არგუმენტირებული და სამართლებრივად დასაბუთებული პირდაპირ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დაავალა.

გაერთიანებული სამეცნის საქმე – „გვერბალური პროცესორი ბლეიკისა და სხვების წინააღმდეგ“*

გიორგი უსტიაშვილი**

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ჯორჯ ბლეიკი 1944 წლიდან გაერთიანებული სამეცნის საიდუმლო სამსახურში მუშაობდა. კანონმდებლობის თანახმად, იგი ვალდებული იყო, დაეცვა საიდუმლო ინფორმაცია, როგორც მუშაობის პერიოდში, ისე სამსახურიდან წასვლის შემდეგ. 1951 წელს იგი საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებმა გადაიბირეს და მათი აგენტი გახდა. ამ პერიოდში, ბლეიქმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დოკუმენტები მიაწოდა საბჭოთა სპეცსამსახურს. 1961 წელს იგი ინგლისელებმა დააკავეს და „სახელმწიფო საიდუმლოების აქტის“ (Official Secrets Act 1911)¹ თანახმად, ბრალი წაუყენეს ინფორმაციის უკანონოდ გაცემისათვის და 42 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის მისჯიდან ხუთი წლის შემდეგ მან ციხიდან გაქცევა მოახერხა, ჯერ გაიქცა ბერლინში, შემდეგ კი მოსკოვს შეაფარა თავი.

მოსკოვში ყოფნის პერიოდში, 1989 წელს ჯორჯ ბლეიქმა დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი “No Other Choice”, რომელიც აღწერდა მის ცხოვრებისეულ დეტალებს, მათ შორის, მის მოღვაწეობას გაერთიანებული სამეცნის საიდუმლო სამსახურში. აღნიშნული წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით მან ექსკლუზიური ხელშეკრულება დადო ბრიტანულ საგამომცემლო კომპანია “Jonathan Cape” Ltd-თან. ხელშეკრულების თანახმად, თანხის ნაწილი — 50 000 ათასი ფუნტი, გადახდილ იქნა წინასწარ, ავანსის სახით, დარჩენილი თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად, — გამომცემ-

* *Attorney General v. Blake and Another [2000] UKHL 45; [2000] 4 All ER 385; [2000] 3 WLR 625 (27th July, 2000).*

** საერთაშორისო ბიზნესსამართლის მაგისტრი, LL.M., Steinbeis Universität, სს „მარგებლის“ უფროსი იურიდიული მრჩეველი.

¹ სრული ტექსტი ხელმისაწვდომია: <goo.gl/BUHLhv> [07.01.2017].

უსტიაშვილი, გენერალური პროკურორი ბლეიქის წინააღმდეგ

ლისათვის ხელნაწერის გადაცემის შემდეგ 50 000 ათასი ფუნტი და წიგნის გამოცემის შემდეგ — 50 000 ათასი ფუნტი.²

დიდ ბრიტანეთში წიგნი 1990 წელს გამოიცა, მასში მოყვანილი ფაქტები ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა „სახელმწიფო საიდუმლოების აქტს“, დარღვეული იყო კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება. მაგრამ ფაქტების სიძველის გამო, ინფორმაცია კონფიდენციალურად აღარ ითვლებოდა და მას არ შეეძლო ზიანი მიეყენებინა სახელმწიფოს უსაფთხოებისათვის.

გაერთიანებულმა სამეფომ გადაწყვიტა, დაესაჯა ჯორჯ ბლეიქი და არ მიეცა საშუალება, მიეღო ქონებრივი სარგებელი — დარჩენილი ჰონორარი. ამ მიზნით გენერალურმა პროკურატურამ მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო და პრეტენზია განაცხადა ჰონორარის იმ ნაწილზე, რომელიც ბლეიქს გამომცემლობისაგან უნდა მიეღო მომავალში, სარჩელში პროკურატურა დარჩენილი ჰონორარის სახელმწიფოსათვის გადაცემას მოითხოვდა.

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების აქტი“, ბლეიქთან დადებული შრომითი ხელშეკრულება და გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი სხვა კანონები არ ითვალისწინებდნენ დალატისა და სახელმწიფო საიდუმლოების გამხელისათვის ფინანსური სანქციების დაკისრებას, მათ შორის, ზემოხსენებულ შემთხვევებში ჰონორარის გადახდის შეჩერება და სახელმწიფოსათვის გადაცემის საკითხი არსებული კანონმდებლობით პირდაპირ მოწესრიგებული არ იყო.

საჩივარში გენერალური პროკურატურა აღნიშნავდა, რომ ბლეიქმა დაარღვია ფიდუციური მოვალეობები, რაც მას სამეფოს წინაშე ჰქონდა და ამის გამო მისთვის საავტორო უფლებები უნდა ჩამოერთმიათ, ჰონორარი კი სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, თუმცა აღნიშნა, რომ კანონმდებლობა აღნიშნული ქმედებისათვის არ ითვალისწინებდა ფინანსურ სანქციებს, მათ შორის, საავტორო უფლებების ჩამორთმევას. შესაბამისად, პროკურატურის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.³

² <goo.gl/GNVb5p> [07.01.2017]

³ <goo.gl/GNVb5p> [07.01.2017]

გენერალურმა პროკურორმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

გენერალურმა პროკურატურამ, სასამართლოს ნებართვით, სააპელაციო საჩივარს დაამატა საჯარო ინტერესების ხელყოფაც. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარში თავის მოთხოვნებს პროკურატურა კერძო და საჯაროსამართლებრივი საფუძვლებით ამყარებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავს შემთხვევებში, საჯარო ინტერესების დასაცავად, გენერალურ პროკურატურას უფლება ჰქონდა, სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები გამოეყენებინა სისხლისსამართლებრივი მიზნების მისაღწევად, სასამართლოს პოზიციით, დანაშაულებრივი ქმედება არ შეიძლებოდა გამხდარიყო შემოსავლის მიღების საშუალება, სასამართლო დაეყრდნო კერძოსამართლებრივ, რესტიტუციული ზიანის (Restitutionary Damages) ანაზღაურების პრინციპს, მისი მოქმედება გაავრცელა საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებზე და პროკურატურის საჩივარი დააკმაყოფილა. ჯორჯ ბლეიქს გამომცემლისაგან საავტორო პონორარის ან რაიმე სარგებლის მიღება აეკრძალა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბლეიქის წარმომადგენლების მიერ გასაჩივრებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატაში⁴. საჩივარზე გენერალური პროკურატურის მიერ, ასევე, შეტანილ იქნა შემხვედრი სააპელაციო საჩივარი.

II. ლორდთა პალატის გადაწყვეტილება

ლორდთა პალატამ არ დააკმაყოფილა ბლეიქის საჩივარი და ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ ბლეიქს რესტიტუციული ზიანის (Restitutionary Damages) პრინციპის გამოყენებით, საავტორო პონორარი არ უნდა მიეღო. გადაწყვეტილებას მიემხრო ოთხი ლორდი მოსამართლე (Lord Nicholls of Birkenhead, Lord Goff of Chieveley, Lord Browne-Wilkinson, Lord Steyn), ერთმა ლორდმა მოსამართლემ (Lord Hobhouse of Woodborough) გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა და განსხვავებული აზრი გამოაქვეყნა.

⁴ რომელიც იმ პერიოდში, საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელებამდე, უმაღლესი სასამართლოს ფუნქციებს ახორციელებდა.

უსტიაშვილი, გენერალური პროკურორი ბლეიქის წინააღმდეგ

1. უმრავლესობის არგუმენტები

სასამართლომ დაადგინა, რომ ბლეიქმა ხელშეკრულებითა და კანონით ნაკისრი ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულებები დაარღვია, მისი ქმედება გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენდა დანაშაულს, რისთვისაც იგი მსჯავრდებული იყო. სასამართლოს შეფასებით, ბლეიქის ქმედება განსაკუთრებული შემთხვევა იყო და იგი ქვეყნის საჯარო ინტერესებს ენინაღმდეგობოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირს ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად არ უნდა მიეღო სარგებელი — საავტორო პონორარი. სასამართლო დაეყრდნო სამართლის ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც, უმართლობა და დანაშაული არ შეიძლება შემოსავლის წყარო გახდეს.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში საჯარო და სისხლისამართლებრივი საშუალებები ეფუძნებური არ იყო და პონორარის მიღების უფლება უნდა შეზღუდულიყო სამოქალაქო-სამართლებრივი პრინციპის — რესტიტუციული ზიანის (Restitutionary Damages) გამოყენებით.

2. განსხვავებული აზრი

ლორდმა ჰოპკაუზმა აღნიშნა, რომ ინტუიციურად სამართლიანი გადაწყვეტილების გასამართლებლად არ უნდა შეიქმნას უმართლო სამართალი.⁵ მისი განცხადებით, ბლეიქმა დაარღვია ხელშეკრულება და კანონმდებლობა, რისთვისაც იგი გასამართლდა და დაისაჯა. რაც შეეხება მის მიერ წიგნის გამოქვეყნებას, ამით საჯარო ინტერესები არ შელახულა, წიგნში მოყვანილი ფაქტებს აღარ გააჩნდათ მნიშვნელობა და არ შეეძლოთ სახელმწიფოსათვის ზიანის მოტანა. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ კანონმდებლობა მსგავსი შემთხვევებისათვის, თავისუფლების აღკვეთის გარდა, რამე სხვა სანქციას, მათ შორის, პონორარის მიღების უფლების ჩამორთმევას არ ითვალისწინებდა.

ლორდმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ინფორმაციის სიძველის მიუხედავად, თუ სახელმწიფოს არ სურდა წიგნში

⁵ <goo.gl/GNVb5p> [07.01.2017]

მოყვანილი ფაქტების გახმაურება, ბლეიქისათვის პონორარის გადახდის აკრძალვასთან შედარებით, აჯობებდა, სახელმწიფოს თავადნიგნის გამოცემა შეეჩერებინა, რაც მას არ გაუკეთება.

ლორდ პობპაუზის მოსაზრებით, რესტიტუციული ზიანის (Restitutionary Damages) პრინციპი გამოყენებულ უნდა იქნეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, როდესაც მხარეებს ქონებრივი ხასიათის გარიგება აკავშირებთ. ბლეიქის შემთხვევა კი განსხვავებულია, მის მიერ სახელმწიფოს მიმართ არსებული ფიდუციური ვალდებულების დარღვევა და სამსახურებრივი ინფორმაციის გახმაურება არ უნდა განიხილებოდეს როგორც კერძო ხასიათის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

მოსამართლის განცხადებით, ზემოხსენებული არგუმენტების თანახმად, სახელმწიფოს არ გააჩნდა საკუთრების უფლება ბლეიქისათვის გადასახდელ პონორარზე, შესაბამისად, პონორარის გადახდის აკრძალვა მართებული არ იყო.

III. ლორდთა პალატის გადაწყვეტილების შეფასება

ლორდთა პალატის გადაწყვეტილება დამყარებულია ზოგად სამართლებრივ პრინციპებზე და გამოხატავს სახელმწიფოს მიდგომას მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხის მიმართ. გადაწყვეტილებაში გატარებულია სახელმწიფოს შეხედულება, რომ სპეციამსახურის მოღალატე ოფიცერი უნდა დაისაჯოს და ღალატის, კანონდარღვევის შედეგად მან სარგებელი არ უნდა მიიღოს.

პოზიტიური სამართლის თვალსაზრისით, აღნიშნული საკითხი ნორმატიულად მონესრიგებული არაა, გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობს სპეციალური კანონი, რომლითაც ბლეიქის მსგავს შემთხვევებში პონორარის გადახდასთან დაკავშირებულ საკითხებს პასუხი გაეცემოდა. სწორედ ამ პრობლემის გადასაწყვეტად, გენერალურმა პროკურატურამ და სასამართლომ მიმართეს სამართლებრივ პრინციპს — უკანონო ქმედება არ შეიძლება შემოსავლის წყარო გახდეს. აღნიშნული პრინციპის რეალიზაცია მოხდა რესტიტუციული ზიანის (Restitutionary Damages) მექანიზმის გამოყენებით.

სამართლიანობის თვალსაზრისით, სახელმწიფოს პოზიცია და ლორდთა პალატის გადაწყვეტილება შეიძლება შეფასდეს როგორც მართებული და კვალიფიციური. სამართლებრივი პრინციპების რე-

უსტიაშვილი, გენერალური პროკურორი ბლეიქის წინააღმდეგ

ალიზაციის გზა ეფექტურად მოინახა — შეირჩა ზიანის ანაზღაურების სათანადო მექანიზმი, შესაბამისად, გადაწყვეტილება მარტოდენ ზოგად სამართლებრივ პრინციპებს არ დაეფუძნა, რაც მისი დასაბუთების ხარისხსა და მთლიანად გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას მნიშვნელოვნად ზრდის.

ასევე, აღსანიშნავია განსხვავებული აზრი, სადაც ლორდი მოსამართლე მაღალკვალიფიციურად მიჯნავს საჯარო და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, არგუმენტირებულად აკრიტიკებს კერძოსამართლებრივი მექანიზმის — რესტიტუციული ზიანის (Restitutionary Damages) — მოცემულ საქმეში გამოყენების მიზანშეწონილობას. იგი საკითხს უდგება პოზიტიური სამართლის ჭრილში, მისთვის ამოსავალი წერტილია, რომ პრობლემის გასაღები საკანონმდებლო აქტებში იპოვოს. ამგვარი მიღებომა და განსხვავებული აზრი ერთიორად საინტერესოს ხდის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას.

ლორდთა პალატის გადაწყვეტილება, აგრეთვე, შეიძლება შეფასდეს სამართლის ფილოსოფიის ჭრილშიც, გადაწყვეტილებაში ლორდთა უმრავლესობის მიერ გაზიარებულია რონალდ დუორკინის თეორია,⁶ რომ სამართლის მიღმა არსებობს პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოწესრიგდეს ზოგიერთი ურთიერთობა, ხოლო უმცირესობაში მყოფი ლორდი პოზიტივისტია, იგი ჰარტისეული წეოპოზიტივიზმის⁷ მიმდევარია და შესაბამისად, პოზიტიურსამართლებრივ იდეებს ავითარებს.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ საქმე — *Attorney General v. Blake and Another*⁸ — სამოსამართლო სამართლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს დიდი ბრიანეთის ძირითადი სამართლებრივი თუ სოციალური პრინციპები და პოლიტიკური ნება. გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გამყარდა წესი, რომ უკანონო ქმედებით არავინ შეიძლება სარგებელი მიიღოს, მით უმეტეს, რომ ეს წესი არა მხოლოდ ზოგადად სამართლის პრინციპი, არამედ კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმების მოქმედების საფუძველია.

⁶ იხ., უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 57-67.

⁷ იქვე 37-44.

⁸ სრული ტექსტი ხელმისაწვდომია: <goo.gl/GNVb5p> [07.01.2017]

საქმე – „როუ უეიდის ნინააღმდეგ“

ბექა ცვარიანი*, ვახტანგ სირბილაშვილი**

„მევამჩნიე, რომ ყველა, ვინც ამობრტის
მომხრეა, უკვე დაბადებულია.“
რონალდ რეიგანი

I. საქმის გარემოებები და მიღებული გადაწყვეტილება 1.ფაქტობრივი გარემოებები

1973 წლის 22 იანვარს, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ საქმეზე — „როუ უეიდის ნინააღმდეგ“¹ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. 1971 წლის 13 დეკემბერს შტატების მოქალაქე ნორმა მაკერვიმ (სასამართლო დოკუმენტებში ფსევდონიმით — ჯეინ როუ), მსგავს მდგომარეობაში მყოფ ქალებთან ერთად, ამერიკის უმაღლეს სასამართლოს გაერთიანებული სარჩელით მიმართა. მოსარჩელე აბორტის აკრძალვის შესახებ ტეხასის შტატის კანონმდებლობის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა.

როუ 23 წლის ტეხასელი მარტოხელა, ორსული ქალბატონი იყო, რომელსაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო აბორტის გაკეთება სურდა. ტეხასის შტატში კი ლეგალური აბორტის საფუძვლად მხოლოდ ნაყოფის მიერ დედის სიოცხელის მოსპობის საფრთხე მიიჩნეოდა. იმ დროისათვის შტატებს აბორტის მოწერილების მხრივ სხვადასხვა მიდგომა ჰქონდათ. ამასთან, იყო შემთხვევები, როდესაც ქალები აბორტის გასაკეთებლად სხვა ქვეყანაში მიდიოდნენ, თუმცა მაკერვი ფინანსური გაჭირვების გამო ტეხასს ვერ ტოვებდა.² აქედან გამომდინარე, მან აბორტის უფლებით ვერ ისარგებლა და იძულებული გახდა, სასამართლოსთვის მიემართა. მისი წარმომადგენელი სარა უედინგთონი იყო. ყველა სამართლებრივი პროცედურის ამონურვის შემდეგ,

* სამართლის მაგისტრი.

** სამართლის მაგისტრი.

¹ Roe v. Wade, 410 U.S. 113 (1973)

² <<http://edition.cnn.com/2013/01/22/health/roe-wade-abortion-timeline/>> [20.10.2016]

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

საბოლოოდ, საქმე უმაღლესმა სასამართლომ განიხილა. მო-სარჩელის არგუმენტაციით, ტეხასის კანონმდებლობა მისი პირადი ცხოვრების უფლებას გაუმართლებლად ზღუდავდა. როუ ითხოვდა, რომ ორსულობის პირველ მესამედში აბორტის ოპერაცია მხოლოდ დედის არჩევანის შესაბამისად ჩატარებულიყო, მიუხედავად იმისა, დედის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა თუ არა, მეორე და მესამე ტრიმესტრესტრებში კი სახელმწიფოს შეეძლო შესაბამისი საფუძვლები დაეწესებინა. მოპასუხეს, ტეხასის შტატს, ჰერი უეიდი წარმოადგენდა. მის ინტერესებს, ასევე, ჯერ ფლოიდ და რობერტ ფლაუერსი იცავდნენ. ალსანიშნავია, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაკერვიმ იმშობიარა და ბავშვი გააშვილა.

2. პრობლემა

„როუ უეიდის წინააღმდეგ“ საქმემ საზოგადოებაში მწვავე დებატები და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. აღნიშნული ერთეული ყველაზე რთული შემთხვევაა, რომელიც სიცოცხლის და პირადი ცხოვრების უფლებებს (ასევე, თავისუფლებას) უპირისპირებს. ერთი მხრივ, სასწორზე ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობა/სიცოცხლის უფლებაა მოთავსებული, ასევე, აბორტის ამორალურობისა და შტატის ინტერესის საკითხი; მეორე მხრივ, სასწორის საწინააღმდეგო თეფზე დედის პირადი ცხოვრების ხელშეუვალობაა, რომელიც საოჯახო, საქორწინო და სექსუალური ხასიათის საკითხებში არჩევნის თავისუფლებას ინდივიდს აძლევს. აქედან გამომდინარე, სასამართლოსა და საზოგადოებაში პრო-სიცოცხლისა და პრო-არჩევანის პოზიციებზე მდგომი მხარეები წარმოიშვნენ. შესაბამისად, პასუხი შემდეგ კითხვებს უნდა გაეცეს:

1. არის თუ არა აბორტი პირადი ცხოვრების უფლებიდან გამომდინარე ქალის უფლება?
2. რას ნიშნავს სიცოცხლისუნარიანობა?
3. აქვს თუ არა ნაყოფს რაიმე უფლება, უმთავრესად კი სიცოცხლის უფლება?
4. ქალს ორსულობის პირველი 12 კვირის პერიოდში უნდა ჰქონდეს თუ არა აბორტის გაკეთების უფლება, თუნდაც უსაფუძვლოდ?
5. აბორტის საკანონმდებლო მოწესრიგებისას არის თუ არა შტატის მიერ ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ზნეობის დაცვის ინტერესი მიზანშენონილი ან/და გადამწყვეტი?

3. გამოსაყენებელი ნორმა

მოცემულ საქმეზე სასამართლომ აშშ-ის კონსტიტუციის მე-5, მე-9 და მე-14 შესწორებები გამოიყენა. მათ თანახმად, არავის აქვთ უფლება ვინმეს წაართვას სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის“ პრინციპის გარეშე (“Due Process Clause”), რომელიც ხელისუფლების ყველა შტოს ავალდებულებს, იმოქმედოს კანონის ფარგლებში, სამართლიანად და ზემოხსენებული ფუნდამენტური უფლებები მხოლოდ შესაბამისი კანონიერ საფუძველის არსებობისას შეზღუდოს.³ სასამართლომ „ცოცხალი კონსტიტუციის“ კონცენტრირებული იხელმძღვანელა.⁴

4. სასამართლოს მოტივაცია

უმაღლესმა სასამართლომ საქმის გარემოებები განიხილა და მხარეთა არგუმენტები შეაფასა. უპირველეს ყოვლისა, მოსამართლე პარი ბლექმანმა როუს საერთო სასარჩელო მოთხოვნაში ჩამოყალიბებული პოზიცია გაიზიარა, — ის, რომ ქალებს კონსტიტუციით თითქმის სრულად ეკრძალებათ აპორტის გაკეთება, — უსაფუძვლოა. ეს ინდივიდის პირადი არჩევანის საკითხია, მსგავსი ნორმების გამო კი მათ არაერთი სოციალური პრობლემა ექმნებათ, მაგ., სამსახურის დაწყება, შენარჩუნება თუ უმუშევერობის შემწეობის მიღება შეუძლებელი ხდება. მოსამართლემ, ასევე, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აპორტი უმთავრესად ორსულ ქალსა და ექიმს მორის სამედიცინო გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, რაც ამ ურთიერთობის პირად ხასიათზე მეტყველებს. შესაბამისად, პირადი ცხოვრების უფლება აპორტის საკითხსაც მოიცავს, თუმცა აღნიშნულ შეუზღუდავი ფორმის არ არის და მნიშვნელოვან საჯარო ინტერესთან კონფლიქტში სახელმწიფოს მიერ უფლებაში ჩარევის შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს.

გარდა ამისა, ბლექმანმა განაცხადა, რომ აპორტის ოპერაციის ჩატარება არა მხოლოდ ორსული ქალის, არამედ ექიმის უფლებაცაა, სამედიცინო მომსახურების განევის ინტერესის კონტექსტში. შესაბამისად, სანამ სახელმწიფოს მიერ ჩარევის აუცილე-

³ <https://www.law.cornell.edu/wex/due_process> [18.06.2016]

⁴ <<http://ndpr.nd.edu/news/27225-the-living-constitution/>> [18.06.2016]

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

ბლობა და მნიშვნელობა საჯარო ინტერესით დასაბუთდება, მანამდე ეს საკითხი ექიმის კომპეტენციაზეა დამოკიდებული.

დამატებით, მოსამართლე ჰარი ბლექმანმა აპელანტის არგუმენტი ნაყოფის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებითაც გაიზიარა: უფლებათა ბილით დაცული სიცოცხლის უფლება ეხება ადამიანებს, პირებს (Persons), ნაყოფი კი კანონმდებლობაში არსადაა ნახსენები როგორც პიროვნება/ადამიანი. იგი უბრალოდ პოტენციურ ადამიანად შეიძლება ჩაითვალოს, შესაბამისად მას კონსტიტუციის მე-14 შესწორება არ იცავს. მეტიც, ბლექმანმა სიცოცხლისუნარიანობის (Viability) განმარტება შემდეგნაირად მოახდინა, ნაყოფი ორსულობის პირველი მესამედის განმავლობაში დედაზე არის დამოკიდებული. ჩანასახი სამედიცინო ჩარევით, ან მის გარეშე, დედის სხეულისაგან გამოცალკევებით იგი ვერ გადარჩება, ანუ ვერ ჩამოყალიბდება ცოცხალ არსებად. ბლექმანის თანახმად, საჯარო ინტერესი შეიძლება ფეხშიმობის პირველი ტრიმესტრის შემდეგ გაჩნდეს. მანამდე ქალი აბორტის უფლების რეალიზებაში სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. ფეხშიმობის ბოლო ორ მესამედ ვადაში, აბორტის უფლების საფუძვლად დედის ჯანმრთელობის ან სიცოცხლესადმი საფრთხეს მიიჩნევს, რომელსაც ექიმის დასაბუთებული დასკვნა სჭირდება.

მოსამართლე ბლექმანის მოტივაციით, ადამიანის თავისუფლებას კერძოდ, პირადი ცხოვრების უფლებას „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის“ კონტიტუციური პრინციპი იცავს, რომლის თანახმადაც, მისი შეზღუდვა მხოლოდ სამართლებრივი პროცედურების დაცვითა და კანონიერი საფუძვლის არსებობისას შეიძლება. მოცემულ შემთხვევაში კი ტეხასის შტატი ქალთა ფუნდამენტურ უფლებაში უსაფუძვლოდ ერევა, რაც არაკონსტიტუციურია.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ პრეცედენტად მოტანა საქმე — *Dred Scott v. Sandford*, რომლითაც ჩამოყალიბდა ცოცხალი კონსტიტუციონალიზმის დოქტრინა, რომლის საფუძველზეც ბლექმანმა აბორტის უფლების, ანუ ისეთი ახალი კონსტიტუციური ნორმის შექმნის იდეა გაამართლა, რაც მანამდე კონსტიტუციის ტექსტში საერთოდ არსად ეწერა. აქვე, კონსტიტუციის მე-9 შესწორებაზე მიუთითა, რომლის თანახმადაც, „კონსტიტუციაში განსაზღვრულ უფლებათა ჩამოთვლა არ უნდა განიმარტებოდეს,

როგორც უარყოფა და უგულებელყოფა სხვა უფლებებისა, რომელიც ხალხს გააჩინა“.

გარდა ამისა, მოსამართლე ბლექმანმა ა.შ.შ.-ის უზენაესი სასამართლოს 1965 წლის გადაწყვეტილება მოიხმო, საქმეზე — *Griswold v. Connecticut*, სადაც პირადი ცხოვრება ძირითად უფლებად აღიარეს და დედის მიერ ორსულობის პრევენცია კონტრაცეპტიული აბების გამოყენებით დაშვებული გახდა. სასამართლომ კვლავაც თავისუფლების შეზღუდვისათვის საჭირო ზემოხსენებულ კონსტიტუციურ სტანდარტს ხაზი გაუსვა და თქვა, რომ იგი ადამიანებს მათ ურთიერთობებსა და გადაწყვეტილებებში სახელმწიფოს მიერ აშკარად უსამართლო ჩარევისაგან იცავს. მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების უფლება კონსტიტუციაში არსად წერია, ეს მის პენუმბრებში უნდა ვიპოვოთ.

5. განსხვავებული აზრი

თავის მხრივ, მოსამართლე ბაირონ უაითმა როუს არგუმენტები არ გაიზიარა. მისი აზრით, მოპასუხის პოზიცია საფუძვლიანია, როდესაც აცხადებს, რომ აბორტის საკანონმდებლო მოწესრიგებისას პრიმატი შტატის ინტერესს აქვს. აბორტის გაკეთების მოთხოვნა, როდესაც ნაყოფი დედის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის, მოსამართლემ დაუსაბუთებელ და არალეგიტიმურ, „სავარაუდო დედის კაპრიზად“ მოიხსენია. რაც შეეხება სიცოცხლისუნარიანობის საკითხს, მან მოპასუხის არგუმენტი ნაწილობრივ გაიზიარა. მოსამართლე უაითის მოტივაციით, სახელმწიფომ თუნდაც ემბრიონის სიცოცხლის უფლება უნდა დაიცვას, ვინაიდან მას ადამიანად დაბადების რეალური შანსი აქვს. ხოლო იმ ნაწილში, რომ ნაყოფი ჩასახვიდანვე სიცოცხლისუნარიანია, მოპასუხეს არ დაეთანხმა.

მოსამართლე უაითს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა თავად კონსტიტუციურობის პრობლემაზე ჰქონდა. მან განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, იგი ეთანხმება თუ არა ბლექმანის პრიორიტეტებს ორსული ქალის არჩევანსა და სიცოცხლისუნარიანი ან პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი ნაყოფის ადამიანად განვითარებას შორის, ბლექმანის თანამოაზრე ვერ იქნება, რომ ასეთი მიდგომა ხალხისა და საკანონმდებლო ორგანოსათვის საკონსტიტუციო

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

სტანდარტად განსაზღვროს. ორსული დედებისათვის ამ ახალი უფლების მინიჭების არანაირი კონსტიტუციური წინაპირობა არ არსებობს, ვინაიდან უზენაესი კანონის ტექსტში ასეთი ნორმის შესახებ რაიმე არსად წერია. მეტიც, როდესაც მოსამართლებმა ზემოხსენებულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში პირადი ცხოვრების უფლება განმარტეს, აბორტი არ გაუთვალისწინებიათ. მათი განხილვის საგანი ორსულობის პრევენცია იყო და ამ კონტექსტში ჩანასახის მოცილების გავრცობა მართებული არაა. თუ სასამართლო აბორტის ლეგალიზაციას ამ ფორმით მოახდეს, მისი აზრით, ეს იქნება სასამართლო ხელისუფლების ძალის დემონსტრირება, რომ მას შეუძლია კონსტიტუცია თავად მოირგოს, ე.ი. დისკურსულიას ბოროტად გამოიყენება.

ბლექმანის პოზიციის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე მოსამართლე უილიამ რეინჯუისთი აღმოჩნდა, რომელმაც ყურადღება სხვა მოსამართლეთა მოტივაციას მიღმა დარჩენილ საკითხებზე გაამახვილა. მისი განსხვავებული აზრის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ არ უნდა მიეღო, ვინაიდან საქმე ორსულობის პირველ მესამედში აბორტის ლეგალიზაციის საკითხს ეხებოდა. შესაბამისად, ისეთი მოსარჩევე იყო საჭირო, რომელიც სასამართლოში საქმის განხილვის რომელიმე სტადიაზე მაინც იქნებოდა ორსულობის ამ ეტაპზე. ამ შემთხვევაში ასეთი მოსარჩევე ვერ მოიძებნა, ამიტომაც რეინჯუისთის მიაჩნდა, რომ გადაწყვეტილება მოსარჩელეზე შედეგობრივად ვერ აისახებოდა, რაც საქმის განუხილველად დატოვების საფუძველი იყო. თუნდაც შესაბამისი მოსარჩევე ყოფილიყო, მისი მოტივაციით, ორსული ქალის „აბორტის უფლება“, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ფართო გაგება, საერთოდ არ იყო პირადული ხასიათის, ვინაიდან ტეხასის კანონმდებლობა ლიცენზირებული ექიმის გარეშე ასეთ პროცედურას კრძალავდა. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ჩარევის აუცილებლობა ამ დებულებიდანვე ჩანდა. ამასთან, თავად პირადი ცხოვრების უფლება და მით უმეტეს, მისი ფართო განმარტებით აბორტის უფლება, კონსტიტუციის ტექსტში არსად წერია და მოსამართლე ბლექმანი არ აზუსტებს ეს საიდან ამოიკითხა. იგი არაერთ შესწორებას შეეხო, მაგრამ კონკრეტიკა არ ჩანდა. ამის საპასუხოდ, მოსამართლე პოტერ სტიუარტმა თავის მოტივაციაში განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მე-14 შესწორებითაა გათ-

ვალისწინებული, „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის“ პრინციპში.

სტიუარტის განმარტების საპასუხოდ, რეინქუისთმა ასეთი მსჯელობა ჩამოაყალიბა: „სტიუარტს ვეთანხმები, რომ „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის“ პრინციპი იცავს თავისუფლებებს, რომლებიც ზუსტად არ არის განსაზღვრული კონსტიტუციის ტექსტში, მაგრამ აღნიშნული თავისუფლება შეზღუდვისგან აბსოლუტურად დაცული არაა, არამედ მხოლოდ ისეთი ჩარევაა აკრძალული, რომელიც ამ პრინციპით დადგენილ წესებს არ შესაბამება. ზემოხსენებული ძირითადად სოციალური და ეკონომიკური კანონმდებლობებით დაცულ სფეროებზე ვრცელდება, როდესაც უფლებათა შესაბამისი შეზღუდვები დაუსაბუთებელია და აუცილებელ საჯარო ინტერესთან კავშირში არაა“. მეტიც, რეინქუისთმა მე-14 შესწორების მიღების დრო გაიხსენა და განაცხადა, რომ 1868 წელს აპორტი 36 შტატის მიერ კრიმინალიზებული იყო. ხოლო, თუ აღნიშნულ შესწორებას „აპორტის უფლებასთან“ რაიმე კავშირი ჰქონდა, მას აუცილებლად განიხილავდნენ მაინც. მისი მტკიცებით, ერთადერთი საფუძვლიანი დასკვნა, რისი გამოტანაც შეიძლებოდა, ის იყო, რომ მე-14 შესწორება „აპორტის უფლებას“ საერთოდ არ მოიცავდა.

6. საბოლოო გადაწყვეტილება

1973 წლის 22 იანვარს აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ, 7 ხმით 2-ის წინააღმდეგ, „როუ უეიდის წინააღმდეგ“ საქმეზე მოსარჩევე ჯეინ როუს მოთხოვნა დააკმაყოფილა. უმრავლესობამ გაიზიარა მოსამართლე ბლექმანის მოტივაცია და ქალისათვის ორსულობის პირველ ტრიმესტრში მხოლოდ მისი არჩევანის საფუძველზე აპორტის გაკეთება ლეგალური გახადა. პროცედურის ჩატარება კვლავინდებურად ლიცენზირებული ექიმის კომპეტენციაში დარჩა. მეორე ტრიმესტრში კი აპორტი აიკრძალა და ლეგალურ საფუძვლად ორსულის ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე, უკანასკნელ ტრიმესტრში კი ორსულის სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე გაიწერა. აღნიშნულ გარემოებებს ლიცენზირებული ექიმი ადგენს. 2 განსხვავებული აზრი ეკუთვნით რეინქუისთხა და უაითს.

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

შესაბამისად, მანამდე არსებული ტეხასის შტატის კანონმდებლობა აბორტის აკრძალვის თაობაზე არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

II. გადაწყვეტილების შეფასება

1. მოსამართლე ბლექმანის მოტივაციის კრიტიკა

1.1. აბორტისა და პირადი ცხოვრების უფლებათა გამოჯვენა

ზემოხსენებული გადაწყვეტილების გასაანალიზებლად, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლე ბლექმანის მოტივაცია უნდა შეფასდეს, ვინაიდან სწორედ მისი დასკვნები გაიზიარა უმრავლესობამ და ფაქტობრივად, აღნიშნული გადაწყვეტილება მისი დაწერილია.

ბლექმანის მსჯელობა, რომ ტეხასის იმდროინდელი კანონმდებლობით აბორტი თითქმის სრულად იყო აკრძალული, ერთი მხრივ, მიზანშეწონილია, ვინაიდან ნაყოფის მოცილების ლეგალური საფუძვლი მხოლოდ დედის სიცოცხლის გადარჩენის მიზანი იყო. მეორე მხრივ, ნაყოფის ასაკს საერთოდ არ ჰქონდა მნიშვნელობა. კანონი არც დედისა თუ ნაყოფის სხვა ლეგიტიმური ინტერესებს ითვალისწინებდა და შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი ზედმეტად მოუწესრიგებელიც კი იყო. აქვე, აღსანიშნავია, რომ არაერთ შტატში, მაგ., კოლორადოში, აბორტი სხვა ისეთ შემთხვევებშიც იყო დაშვებული, როგორიცაა, ნაყოფის ფიზიკური ნაკლი ან პათოლოგია, ასევე, თუ ორსულობა გაუპატიურების ან ინცესტის შედეგად დადგა.⁵ მხარეებსა და სასამართლოს ასეთ გარემოებებზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ და პრო-არჩევანის პოზიცია, ამ მხრივ, ვიწრო ჭრილში განიხილა.

მოსამართლე მართებულად აფასებს იმ ფაქტს, რომ აბორტის ოპერაცია უშუალოდ ლიცენზირებულ ექიმსა და ორსულ ქალს შორის შეთანხმებული სამედიცინო მომსახურებაა და შესაბამისად, „აბორტის უფლება“ ორივე მათგანს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, აღნიშნულის პირადი ცხოვრების უფლებასთან ასოცირება გამართლებული არაა. დედას ვერავინ აიძულებს აბორტის ოპერაციის გაკეთებას და მხოლოდ მისი ნების თანახმად უნდა შესრულდეს ის. მართალია, აბორტის სამედიცინო ოპერაციის

⁵ <http://www.policyalmanac.org/culture/archive/crs_abortion_overview.shtml> [20.10.2016]

ჩატარება პროფესიონალი მედიკოსის კომპეტენციაში შედის, მაგრამ ეს არა მისი უფლება, არამედ ვალდებულებაა. თუ შესაბამისი კანონიერი საფუძველი არსებობს, ე.ი. ექიმმა ნაყოფის მიერ დედის სიცოცხლის მოსპობის საფრთხე დაადგინა და ქალი თანახმაა აბორტის პროცედურაზე, იგი ვალდებულია ოპერაცია ჩატაროს (ერთ-ერთი პირობის არარსებობისას კი — არ ჩატაროს). წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

მეორე მხრივ, ამ ურთიერთობის მხოლოდ პირადი ცხოვრების ჩარჩოებში მოქცევა, სადაც არჩევანის სრული თავისუფლება დედას აქვს, მიზანშეუწონელია, ვინაიდან „პირის თავისუფლება მოიქნიოს მუშტი მთავრდება, სადაც სხვისი ცხვირი იწყება“⁶. მიუხედავად იმისა, რომ ჩანასახი დედის სხეულშია მოთავსებული, პირადი ცხოვრების უფლებით ნაყოფის დაბადების ინტერესის უგულებელყოფა ვერ გამართლდება.

1.2. ნაყოფის უფლებაუნარიანობა და სამართალსუბიექტობა

მართალია, კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის უფლება მხოლოდ პირებს, ე.ი. დაბადებულ ადამიანებს, ეხებათ, მაგრამ ეს არ წიმნავს, რომ სახელმწიფომ ნაყოფის ინტერესები არ უნდა დაიცვას. ამასთან, თუ კონსტიტუციის მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი განმარტება იქნება გამოყენებული, და ადამიანი ამგვარ-ად განიმარტება, გამოდის, რომ იგი არა უბრალოდ დაბადებული პირი, არამედ რაციონალური აზროვნების (აქედან გამომდინარე, ღირსების) მქონე არსებაა. მას აღნიშნული უნარი დაბადებიდანვე არ გააჩნია, არამედ შემდგომ უვითარდება. შესაბამისად, საჭიროა მისი ტელეოლოგიური განმარტება.

მით უმეტეს, დღესდღეობით 38 შტატში „ფეტუციიდის“ კანონ-მდებლობა მოქმედებს, რომლითაც დედის მკვლელობით ან მის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებების შედეგად

⁶ Chafee Z. Jr., Freedom of Speech in War Time, Harvard Law Review, Vol. 32, No. 8, 1919, 957.

მოხმობილ ფრაზას ხშირად სხვადასხვა ფილოსოფოსს მიაწერენ, მაგ., ოლ-ივერ უნდედელ ჰოლმსს, თუმცა ერთ-ერთი პირველწყარო ზემოხსენებული ნაშრომია, იხ. <<http://www.jstor.org/stable/1327107>> [20.10.2016]

ასევე, იხ. <<http://quoteinvestigator.com/2011/10/15/liberty-fist-nose/>> [20.10.2016]

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

ნაყოფის სიკეთები მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად ან/და ცალკე დანაშაულად მიიჩნევა (აღნიშნული არ ეხება აბორტის ოპერაციას). მათგან 22 შტატში ნაყოფის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ზემოხსენებული კანონმდებლობებით ნაყოფი განმარტებულია, როგორც პირი.⁷ აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ნაყოფის ხელყოფას გარკვეულ შემთხვევებში სამართლებრივი სიკეთის მოსპობად მიიჩნევს.

ამ საკითხზე დებატებისას პრო-არჩევანის პოზიციაზე მდგომთ მიაჩნიათ, რომ ასეთი ნორმა არა ნაყოფს, არამედ დედის უფლებას იცავს, ვინაიდან მას პირადი ცხოვრების უფლებასაც ართმევენ. სახელმწიფოს მიდგომა კი მარგინალურია, ვინაიდან წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობას (ნაყოფის სიცოცხლის განზრას მოსპობასთან ერთად) ორი ან მეტი პირის მკვლელობად მაინც არ მიიჩნევს. ზემოხსენებულ მსჯელობას აშკარად პრობლემები აქვს. სანინააღმდეგო არგუმენტად უნდა ითქვას, რომ ორსული ქალის მკვლელობისას, მას არა მხოლოდ პირადი ცხოვრების უფლება და „დედობა“ ერთმევა, არამედ, მაგ., საკუთრების, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ყველა სხვა სამართლებრივი სიკეთით სარგებლობის საშუალება ესპობა, ვინაიდან ნებისმიერი უფლების რეალიზაცია სიცოცხლისუნარიანობაზე არის დამოკიდებული. ამასთანავე, უმართლობის შინაარსის ერთ-ერთი მსაზღვრელი დანაშაულებრივი შედეგის ულირსობაა (დაცვის ობიექტის დაზიანება ან მისთვის საფრთხის შექმნა).⁸ თუ ნაყოფი დაცვის ობიექტი არაა, მაშინ ასეთი ქმედების დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა უსაფუძლო გამოდის.

შესაბამისად, ამერიკის არაერთი შტატი აღიარებს, რომ უმუალოდ ნაყოფის სიცოცხლის მოსპობით ჩნდება მისი სისხლისსა-მართლებრივი დაცვის აუცილებლობა და ზემოხსენებული ქმედება მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად ამიტომ მიიჩნევა. მართლია, აღნიშნული არ ეხება აბორტის ოპერაციისას ნაყოფის გარდაცვალებას, მაგრამ კონცეპტუალურად ნაყოფს მაინც აქვს

⁷ <<http://www.ncsl.org/research/health/fetal-homicide-state-laws.aspx>> [20.10.2016] შეად., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 წარილის „ა“ ქვეპუნქტის.

⁸ ვესელი ი., ბოილკე ვ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება, ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 8, იბ. ციტირება: BGHSt 2, 364,368.

სიცოცხლის უფლება. უმნიშვნელოვანებია, უმაღლესმა სასა-მართლომ კონსტიტუციის მხოლოდ გრამატიკული განმარტება არ მოახდინოს და „მეთოდური პლურალიზმის პრინციპით“ იხ-ელმძღვანელოს.⁹ ასეთი ინტერპრეტაციით კი, სიცოცხლის უფლება ნაყოფზეც, ე.ი. პოტენციურ ადამიანზეც, გავრცელდება.

ამ პოზიციას ის არგუმენტიც ამყარებს, რომ რომის სამართლი-დან მოყოლებული, არაერთი სახელმწიფოს კანონმდებლობით ჩანასახს მემკვიდრეობის უფლება აქვს, მიუხედავად იმისა, შეძლებს თუ არა დაბადებას და მის რეალიზებას.¹⁰ შესაბამისად, ჩანასახსაც გარკვეულ შემთხვევაში აქვს უფლებაუნარიანობა. აქედან გამომდინარე, მისთვის სიცოცხლის უფლების მინიჭება საფუძვლიანი იქნებოდა.

გარდა ამისა, სიცოცხლის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, ე.ი. სახელმწიფოს გარეშეც, თანდაყოლილად აქვს. ნატ-ურალისტები მას ღვთისგან ბოძებულ უნარსაც კი უწოდებენ.¹¹ მართალია, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებაც ამ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ სიცოცხლის უფლების მნიშვნელობა მაინც იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი სხვა სამართლებრივი სიკეთით სარგებლობა მის გარეშე შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ნაყოფის სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართ პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები აკისრია. შესაბამისად, აბორტი დედის ავტონომიურ ნებაზე მეტად, ნაყოფის სიცოცხლის დაცვის საჯარო ინტერესს უკავშირდება.

1.3. სიცოცხლისუნარიანობის ბლექმანისეული დეფინიციის კრიტიკა

მოსამართლე ბლექმანი არასწორად მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დედის პირადი ცხოვრების უფლებაში გაუმართლებლად იჭრებოდა. ამ პოზიციას იგი როუს წარმომადგენლის, სარა უელინგთონის მიერ

⁹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 161-163.

¹⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2012, 169.

¹¹ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 1-24.

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

შემოთავაზებული სიცოცხლისუნარიანობის ახლებური განმარტებით ასაბუთებს. მან დედის სხეულის მიღმა ნაყოფის გადარჩენის სავარაუდო შესაძლებლობის მიხედვით დაადგინა, რომ ორსულობის პირველ მესამედში ბავშვი სიცოცხლისუუნაროა, ვინაიდან იგი დედის სხეულიდან ბუნებრივი ან ხელოვნური გამოცალკევების შემთხვევებში ვერ გადარჩება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ორსულობის პირველი მესამედი არაზუსტი ტერმინია. ექიმები ფეხმიმობის შესაძლო მაქსიმალურ ვადად 40 კვირას ანგარიშობენ, რაც 280 დღე გამოდის, მისი მესამედი კი – 93 დღეა (სამ თვეზე მეტი). საბოლოოდ კი, აღნიშნული ვადა 12 კვირად განისაზღვრა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვის განვითარება სრულდება ვადაზე ადრე, მაგ., 6 თვეში, რომლის მესამედიც 2 თვე (თითქმის 9 კვირა) გამოდის, ანუ შეუძლებელია ასეთი ტრიმესტრული სტანდარტი ზოგადი და ზუსტი იყოს. გარდა ამისა, სამედიცინო ჩარევით ან მის გარეშე ნაყოფის დედის სხეულისაგან გამოცალკევებით მისი გადარჩენა არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგ., წონა, ასაკი, გარემო პირობები და ა.შ. მით უმეტეს, ტექნოლოგიისა და მეცნიერების ყოველდღიური განვითარების ეპოქაში, მედიცინაში მსგავსი ფორმულა არ არსებობს.¹²

სიცოცხლისუნარიანობის ასეთი დეფინიცია აშკარად გაუმართებელია. მეტიც, კემბრიჯის უცხო სიტყვათა განმარტების ლექსიკონის ბიოლოგიური მნიშვნელობის თანახმად, სიცოცხლისუნარიანობა ნიშნავს უნარს იარსებო, განაგრძო ან განვითარდე ცოცხალ არსებად.¹³ განვითარების უნარი იმდენად ფართო ცნებაა, რომ მასში ნებისმიერი ასაკის ემბრიონის მოაზრება თავისუფლად შეიძლება, ვინაიდან მას აღნიშნული უნარი ნამდვილად აქვს (თუ ნაყოფს სიცოცხლისათვის აშკარად შეუთავსებელი დეფექტი არ აღენიშნება).

აქვე, უნდა ითქვას, რომ პრო-სიცოცხლის რადიკალური არგუმენტი, რომელიც ცალკე სპერმასა და კვერცხუჯრედს პოტენციურ სიცოცხლედ მიიჩნევს, აბსურდულია. ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობა უნდა განიხილებოდეს, როგორც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი. გარდა ამისა, პრო-არჩევანის სასარგებლოდ უნდა

¹² <<http://www.newsweek.com/babies-born-22-weeks-can-survive-medical-care-new-study-finds-329518>> [20.06.2016]

¹³ <<http://dictionary.cambridge.org/dictionary/english/viability>> [20.06.2016]

ითქვას, რომ დედის მიერ გაუფრთხილებლობით ნაყოფის სიცოცხლის მოსპობის საკითხი პრობლემურია. ამ მხრივ, შემდგომი კვლევაა საჭირო, თუმცა ცალსახად უსამართლო იქნება, თუ ასეთი ქმედება დანამაულად შეფასდება და მას პასუხისმგებლობა დაეკისრება.

სიცოცხლისუნარიანობა და უფლებაუნარიანობა ერთმანეთთან ძალიან მჭირდო კავშირშია. სახელმწიფოთა უმრავლესობა, ერთი მხრივ, თანხმდება, რომ უფლებაუნარიანობა ახალი სიცოცხლის დაბადებით იწყება, მეორე მხრივ, კი განსხვავებული მიღებობა აქვთ, თუ რა იგულისხმება თავად დაბადებაში. გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, „ადამიანის უფლებაუნარიანობა იწყება დაბადების სრულად დამთავრებით“. ხოლო დაბადების სრულად დამთავრებაში იგულისხმება ბუნებრივი ან ხელოვნური გზით ნაყოფის დედის საშოდან გამოყოფა. ფრანგული სამართლით, უფლებაუნარიანობა ბავშვის სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული. ნაყოფი ცოცხლად დაბადებულად ჩაითვლება, თუკი მშობიარობის შემდეგ ის ისუნთქებს. ესპანური სამართლის მიხედვით კი, იმისათვის, რომ ბავშვი უფლებაუნარიანი გახდეს, მან დაბადებიდან 24 საათი უნდა იცოცხლოს.¹⁴

ამასთან, სახელმწიფოთა უმრავლესობის სამართალში სიცოცხლის დასრულების მომენტად მიჩნეულია ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა, ე.ი. მდგომარეობა, როცა ტვინში იმპულსები აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად სიცოცხლის დასაწყისი ტვინის ფუნქციონირების დაწყება, ანუ პირველი აქტივობა უნდა იყოს. მეცნიერების თანახმად, 8 კვირის ნაყოფის ყველა ორგანოს პირველადი ჩამოყალიბება დასრულებულია და მათ შორის, ტვინის აქტივობაც არსებობს.¹⁵

მიუხედავად იმისა, რომ მედიცინაში ჯერჯერობით დადგენილი არაა სიცოცხლის დაწყების ზუსტი დრო, მოსამართლე ბლექმანი სიცოცხლისუნარიანობის ისეთ განმარტებას აკეთებს, რომელიც საერთო სტანდარტისთვის აშკარად შეუსაბამოა, ამიტომაც

¹⁴ თუმანიშვილი გ.გ., სამართალსუბიექტობის რამოდენიმე უმნიშვნელოვანები საკითხის შესახებ, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, (1) მაისი, 2015, 151.

¹⁵ <<http://brainblogger.com/2009/05/10/medical-controversy-when-does-life-begin>> [20.06.2016]

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

განზოგადებისათვის ბიოლოგიურ ლექსიკონში გამოყენებული განმარტება უფრო გამოდგება. იგი ასეთი დეფინიციით კითხვაზე — „როდის ინცეპტა სიცოცხლე?“ — პასუხს გაექცა და მედიცინაზე გაიშვირა თითო, რომ ეს მისი ამოსასხელია, ხოლო თავად სიცოცხლისუნარიანობა ისე განმარტა, რომ დეტერმინანტი არა ნაყოფის უნარიანობა, არამედ დედის სხეულია.

1.4. „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის პრინციპი“ და აბორტი, როგორც უფლება

მოსამართლე ბლექმანის მსჯელობა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ, ნაწილობრივ მართებულია. სიცოცხლის უფლება, ისევე, როგორც თავისუფლება, აბსოლუტური ხასიათისა არაა და მისი შეზღუდვა კონსტიტუციით დაშვებულია. „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის პრინციპი“ სხორცედ იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ინდივიდის თავისუფლებაში (მისგან გამომდინარე, პირადი ცხოვრების უფლებაში) ჩარევა რაციონალურად უნდა დაასაბუთოს, მხოლოდ კანონიერი საფუძველი გამოიყენოს და უფლებაში შეჭრა პრო-პროცესულობას შეესაბამებოდეს, ანუ გატარებული შემზღვდავი ღონისძიება ობიექტური მიზნის მისაღწევად აუცილებელი საშუალების თანაზომიერი უნდა იყოს.

ამის გათვალისწინებით, ბლექმანი ხაზს უსვამს მხოლოდ თავისუფლებას, ვინაიდან მან უკვე თავისი მსჯელობაში ნაყოფის სიცოცხლის უფლებას ხაზი გადაუსვა, რაც უარყოფითად უნდა შეფისდეს. „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის“ პრინციპი, როგორც დედის თავისუფლების, ასევე, ნაყოფის სიცოცხლის უფლების მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული. პრო-არჩევანის ჭრილში, შეიძლება სასწორი დედის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვამ გადაწონოს, ასევე, ნაყოფის დეფექტმა, ორსულობის ისეთმა მიზეზმა, როგორიც გაუპატიურება ან ინცესტია და აქცენტები ამ მიმართულებით უნდა გაკეთდეს.

ბლექმანის მიერ მოხმობილი საქმე — *Griswold v. Connecticut*, პრეცედენტული გადაწყვეტილებაა, რომელმაც აღიარა, რომ პირადი ცხოვრების უფლება ფუნდამენტური საწყისის მქონეა და იგი კონსტიტუციის მე-14 შესწორების პენუმბრაში შედის, რის საფუძველზეც ქალს კონტრაცეპტიული აბების გამოყენებით ორ-

სულობის პრევენციის უფლება მიეცა. ერთი მხრივ, ეს გადაწყვეტილება პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლება მართლაც თავისუფლებიდან გამომდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ იგი კონსტიტუციაში პირდაპირ არ ეწერა. უფლებათა ბილში გათვალისწინებულია შემდეგი პრინციპი, — კონსტიტუციის მუხლებში გამოყენებული ნუმერაცია და დასათაურება, არ უგლებელყოფს და არ უარყოფს ადამიანის უფლებებს, რომელიც ხალხს აქვს. მეორე მხრივ, აღნიშნული ჩანაწერის გამოყენება ისეთ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც საქმე სრულიად ახალ ფენომენს ეხება და კონსტიტუცია თუ სხვა კანონები მას პირდაპირ არ აწესრიგებს. კონტრაცეპტიული აბები სწორედ ასეთი მოვლენაა, რომლის შექმნასაც წინასწარ ვერავნო ივარაუდებდა და შესაბამისად, ასეთ უფლებას კონსტიტუციაში ვერ ჩაწერდა. აბორტს რაც შეეხება, იგი უფლებათა ბილის მიღებადეც არსებობდა და „დამფუძნებელ მამებს“ არასოდეს უმსჯელიათ თავისუფლების ჩარჩოში მისი მოქცევის თაობაზე.¹⁶

2. განსხვავებული აზრის ანალიზი

2.1. მოსამართლე ბაირონ უაითის განსხვავებული აზრის კრიტიკა

მოსამართლე ბაირონ უაითის მოტივაცია დიდწილად მიზანშეწონილია. მან აბორტის გაკეთების მოთხოვნა, როდესაც ნაყოფი დედის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის, „ორსული ქალის დაუსაბუთებელ და არალეგიტიმურ კაპრიზად“ მოიხსენია. როუს საქმეზე ეს მართლაც ასე იყო, ვინაიდან ორსულობა პირის ნებელობითი ქცევისა და წინდაუხედავობის შედეგად დადგა. ის არგუმენტი, რომ მას არასახარიელო ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა, ორსულობის პირველი 12 კვირის ვადაში აბორტის სრული ლეგალიზაციისათვის რელევანტური არაა.

რაც შეეხება სიცოცხლის უფლების საკითხს, მან მოპასუხის პოზიცია ნაწილობრივ გაიზიარა, — სახელმწიფომ უნდა დაიცვას სიცოცხლის უფლება, თუნდაც ემბრიონისა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, გახდეს ადამიანი. სიცოცხლისუნარიანობის შესახებ უაითის მსჯელობისთვის საკმარისია ნაყოფის ადამიანად ჩამოყალ-

¹⁶ Scalia A., Garner B.A., Reading Law: Interpretation of Legal Texts, St. Paul, Minnesota, 2012, 403-406.

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

იბების პოტენციური უნარი, თუმცა, იგი ცდილობს ტრიმესტრულ სტანდარტზე პოზიციის გამოიხატვისგან თავი შეიკავოს და მიუხედავად ამისა, ზოგადად აბორტის, როგორც კონსტიტუციური უფლების, შექმნის წინაპირობას ვერ ხედავს, რისი თქმის საფუძველიც მას ნამდვილად ჰქონდა. ერთი მხრივ, საკონსტიტუციო კონტროლი, რომელსაც შტატების უმაღლესი სასამართლო ახორციელებს, გულისხმობს სასამართლოს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას. ანუ სასამართლო ადგენს რომელი კანონი/ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ასეთი მექანიზმით კონსტიტუციას იცავს. მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში სასამართლო პოზიტიურ კანონმდებლად წარმოჩნდა, ანუ სრულიად ახალი საკონსტიტუციო ნორმა შექმნა. შესაძლოა, *Griswold v. Connecticut* საქმეზე, თავისუფლების ფართო განმარტებით, პირადი ცხოვრების უფლების ინტერპრეტაცია მიზანშეწონილად შეფასდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოსამართლე ბლექმანის მიერ, ამაზე დაყრდნობით კიდევ ერთი ახალი კონსტიტუციური უფლების შექმნა, რომლის კანონიერი საფუძველიც არ არსებობდა, სამართლებრივ უსაფრთხოებას საფრთხის ქვეშ აყენებს. ფაქტობრივად სასამართლო კონგრესის საკანონმდებლო უფლებამოსილებაში შეიქრა. ზემოხსენებული საქმისგან განსხვავებით, არა არსებული უფლების ინტერპრეტაცია, არამედ მთლიანად ახალი ნორმა შეიქმნა. იმ შემთხვევაში, თუ კონგრესი აბორტის უფლებას პირადი ცხოვრების უფლების წანილში განიხილავდა და გარკვეულ რეგულაციებს შექმნიდა, სასამართლოს ასეთი მოქმედების უფლება მხოლოდ ამის შემდეგ ექნებოდა. თუ პირადი ცხოვრების უფლებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ნამდვილად აქვს, იგივე აბორტის შესახებ არ ითქმის, რომელიც მხოლოდ დამცავი მექანიზმის როლს უნდა ასრულებდეს, როდესაც დედის ლეგიტიმური ინტერესია საფრთხის ქვეშ (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ლირსება და ა.შ.). ე.ი. აბორტი ნაყოფის ინტერესის კანონიერი შემზღვეული ბერკეტი უნდა იყოს და არა *a priori* ორსული ქალის ძირითადი უფლება.

2.2. მოსამართლე უილიამ რეინქუისთის განსხვავებული აზრის კრიტიკა

მოსართლე უილიამ რეინქუისთმა სხდომაზე რადიკალურად განსხვავებული პოზიცია წამონია. ნებისმიერ სასამართლო

გადაწყვეტილებას ერთ-ერთი მხარისათვის უპირატესობის მინიჭება უნდა მოჰყვეს, რაც კონკრეტულ შედეგზე უნდა აისახოს. აქედან გამომდინარე, რეინქუისთმა ნამდვილად მართებულად აღნიშნა, რომ მოსამარჩელე მხარედ ისეთი ერთი ადამიანი მაინც უნდა ყოფილიყო, რომელიც სასამართლო განხილვის რომელიმე ეტაპზე ორსულობის პირველ მესამედში იქნებოდა. ამ შემთხვევაში კი მოსარჩელე ზემოხსენებულ პირობას ვერ აკმაყოფილებდა. მეტიც, როუმ გადაწყვეტილების გამოტანამდე იმშობიარა და ბავშვი გააშვილა. რეალურად, მასზე სასამართლოს გადაწყვეტილება შედეგობრივად ვერ აისახებოდა.

გარდა ამისა, რეინქუისთს აბორტის კონსტიტუციურ უფლებად განსაზღვრის მიმართ ბაირონ უაითის ანალოგიური პოზიცია ჰქონდა, რომელიც საფუძველს მოკლებული ნამდვილად არაა.

3. სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგის შეფასება და აბორტის ლეგალური საფუძვლების განსხვავებული ხედვა

სასამართლოს მოცემული რთული შემთხვევა წმინდა უტილიტარისტულად უნდა შეეფასებინა, კერძოდ, კონკრეტული ლირებულის დაცვის შედეგად მიღებული სიკეთე განესაზღვრა.¹⁷ სასამართლომ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ შეერთებულ შტატებში 50 000 000-ზე მეტი აბორტი გახდა.¹⁸ ამასთანავე, ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმ დროს არსებული ემოციური პოლიტიკის გავლენით და არა უშუალოდ აბორტის აკრძალვის ლიბერალიზაციის კუთხით, ვინაიდან ამ პერიოდში ამერიკაში ძლიერი ფემინისტური ტალღა აგორდა და მიმდინარეობდა ბრძოლა კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისთვის.¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ბლექმანიც ლიბერალიზმისთვის დამახასიათებელი პოზიციებით გამოირჩეოდა, მან არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ აღნიშნული იდეოლოგია თავისუფლებასთან ერთად სიცოცხლის

¹⁷ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძისა თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 86.

¹⁸ <<http://www.lifenews.com/2015/01/21/57762169-abortions-in-america-since-roe-vs-wade-in-1973/>> [20.06.2016]

¹⁹ <<http://www.infoplease.com/us/supreme-court/cases/ar35.html>> [20.06.2016]

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

უფლებასაც ძლიერად იცავს. აქედან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება უფრო ფემინისტურია, ვიდრე ლიბერალური.

გარდა ამისა, მოსამართლე ბლექმანის მოტივაცია, რომელიც უმრავლესობამ გაიზიარა, დღეს კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს, ვინაიდან მისი გარდაცვალების შემდეგ სასამართლო დოკუმენტები როცა გასაჯაროვდა, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ის, სხვა მოსამართლეებთან შედარებით, თავის პრაქტიკანტებს და სტაუიორებს მის მაგივრად გადაწყვეტილებების დაწერის საშუალებას ყველაზე ხშირად აძლევდა.²⁰ აღნიშნული მთლიანად სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობას ნიშნავს. შესაბამისად, დუორკინისეული „რთული შემთხვევის“ გადასაწყვეტად იგი აშკარად არ ითვალისწინებს კონცეფციას „მოსამართლე ჰერკულესის“ შესახებ.²¹ მისი არათუ გამბედაობა და პოლიტიკური მდელოარების მიღმა გაკეთებული ანალიზი, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობაც ეჭვქვეშ დგას.

რაც შეეხება აბორტის ამორალურობის საკითხს, დიდი მორალისტის და სამართლის ფილოსოფოსის, კანტის მაქსიმებზე დაყრდნობით, იგი ამორალურად უნდა შეფასდეს. ჰარი გენსლერის თანახმად, ოდესძაც ყველამ გამოიარა ემპრიონობის ეტაპი და შეიძლება თავისუფლად ვივარაუდოთ, რომ ახლა არცერთი ჩვენთაგანი არ ისურვებდა აბორტის გზით მოვეცილებინეთ. ამ მსჯელობაზე დაყრდნობით, აბორტი ლოგიკური თანმიმდევრობით ეწინააღმდეგება კანტის განზოგადების პრინციპს, შესაბამისად, იგი ამორალურია.²² დედის მხრივ კი, თუ იგი ბავშვის ყოლის მიზნით დაორსულდება, მან სამართლებრივი გარანტის ვალდებულება განზრას იტვირთა და წებისმიერი ფასად უნდა შეასრულოს ის. პრობლემურია, ამორალურად შეფასდეს ისეთი აბორტი, როდესაც ქალი თავისი ნების გარემე, შემთხვევით ან იძულებით ორსულდება. შემთხვევითობაში იგულისხმება კონტრაცეპტიული საშუალებების

²⁰ <http://www.legalaffairs.org/issues/May-June-2005/feature_garrow_mayjun05.msp> [20.06.2016]

²¹ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 58-64.

²² McCoy R., Kantian Moral Philosophy and Morality of Abortion, 2011, 143; Ginsler H. J., A Kantian Argument Against Abortion, Philosophical Studies: An International Journal for Philosophy in the Analytic Tradition, Vol 49, No1, 1986, 89-91.

წარუმატებლობა. გინსლერი მიიჩნევს, რომ მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში დედას ნაყოფის წინაშე ვალდებულება მაინც აქვა.²³

როუს შემთხვევაში, 1973 წლისთვის, უკვე დედის მიერ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენებაც ლეგალურია და მას სურვილისამებრ შეუძლია ორსულობის პრევენციის არაერთი გზა არჩიოს, რაც კანონიერთან ერთად, მორალურიცაა. აღნიშნული ნამდვილად თავისუფლებიდან და პირადი ცხოვრების ხელშეუვალობიდან გამომდინარეობს. აბორტი, ეს არის სიცოცხლის პრევენცია, ანუ გარკვეულწილად, მკვლელობის ტოლფასი ქმედებაა. კანტისეული არგუმენტის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ თუ ორსულობა კონტრაცეპტიული საშუალებების გამოყენების მიუხედავად, ან გაუპატიურების შედეგად დადგა, ქალს უნდა ჰქონდეს აბორტის უფლება, ვინაიდან მას სამართლებრივი გარანტის ფუნქცია ნებაყოფლობით არ უკისრია. რაც შეეხება გაუპატიურებას, ამ შემთხვევაშიც, კანტის უზენაესი ღირებულება, ღირსება, პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული და შესაბამისად, ქალს აბორტის პროცედურის გაკეთების უფლება უნდა ჰქონდეს.

აღსანიშნავია აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მოსამართლის, სკალიას მოსაზრება „როუ უედის წინააღმდეგ“ საქმეზე. მან ბლექმანის გადაწყვეტილებას აბსურდული უწოდა, ვინაიდან კონსტიტუციაში აბორტის უფლების შესახებ არაფერი წერია და მე-14 შესწორების მსგავსი ინტერპრეტაციის წინააღმდეგი იყო. რეინჯუისთისა და უაითის განსხვავებული აზრის მსგავსად, იგი სასამართლოს მიერ პოზიტიური კანონმდებლის როლის შესრულებას აკრიტიკებდა. მეტიც, მან, მიუხედავად საკუთარი კონსერვატიული იდეოლოგიისა, ორივე მხარის არგუმენტებს ხაზი გადაუსვა და აღნიშნა, რომ კონსტიტუციით ეს საკითხი საერთოდ არაა გათვალისწინებული და დემოკრატიული არჩევანი უნდა გაკეთდეს.²⁴ გარკვეულწილად იგი ამით მიუთითებდა, რომ ამ გადაწყვეტილებამდე ასეც იყო. ლეგენდარულმა მოსამართლემ თავის ნაშრომში „ცოცხალი კონსტიტუციის“ კონცეფციის წინააღმდეგ კონსტიტუციის ნორმათა ინტერპრეტაციის ორიგინალისტური მსჯელობა განავითარა, — „სა-

²³ იქვე, 88-89.

²⁴ <<http://www.nationalrighttolifenews.org/news/2016/02/antonin-scalia-on-roes-v-wade/#.WASIQNR950s>> [24.10.2016]

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“

მართლის ნორმის ტექსტებს ყოველთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მისი შექმნისას ჰქონდა და „ცოცხალი კონსტიტუციის კონცეფცია“ ასეთი დათქმის გამონაკლისი ვერ იქნება. სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო“. იგი ამ საკითხს ხშირად ადარებდა სიკვდილით დასჯას, რომელიც უმრავლესობის აზრით, ამერიკის კონსტიტუციის მე-8 შესწორებასთან შეუსაბამოა, ე.ო. ღირსების შემლახველი და არაპროპორციულია. სკალიას მსჯელობით, აღნიშნული ასეთი საფუძვლით ვერ იქნება კონსტიტუციასთან შეუსაბამო, ვინაიდან სიკვდილით დასჯა ამ შესწორების მიღებისას ჩვეულებრივ გამოიყენებოდა და იგი მასზე რომ გავრცელებულიყო, თავიდანვე იქნებოდა ამის თაობაზე შესწორებაში აღნიშნული. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ სიკვდილის დასჯა ცუდი იდეა (მაგრამ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ არის) და ხალხმა უნდა აირჩიოს, სურთ თუ არა მისი დაწესება. კონსტიტუციის ტექსტის ფართო ინტერპრეტაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საქმე ახალ ფენომენს ეხება, რომელსაც ასეთი უფლების შექმნისას ვერავინ გაითვალისწინებდა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, აბორტი არც უფლებაა და არც ახალი ფენომენი.²⁵

დასასრულს, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავად ნორმა მაკერვიმ (როუმ) 1997 წელს დაარსა პრო-სიცოცხლის მხარდამჭერი ორგანიზაცია „Roe No More“. მან მთელი შემდგომი პერიოდი პრო-არჩევანის პოზიციის კრიტიკას დაუთმო და კონგრესის წინაშე აბორტის აკრძალვის სიტყვითაც წარსდგა. მისი განმარტებით, იგი ახალგაზრდა იყო და ბოლომდე ვერ აანალიზებდა მისი საქმის შედეგებს, მისმა წარმომადგენელმა, სარა უედინგ-თონმა კი იგი საკუთარი ფემინისტური მიზნისთვის გამოიყენა.²⁶

III. დასკვნა

რეინჯუისთის მოტივაცია უმრავლესობას უნდა გაეზიარებინა და სათანადო მოსარჩელის არარსებობის გამო სასამართლოს საქმე გა-

²⁵ Scalia A., Garner B.A., Reading Law: Interpretation of Legal Texts, St. Paul, Minnesota, 2012, 403-408.

²⁶ <<http://www.endroe.org/roebio.aspx>> [24.10.2016] ასევე, იხ. <<http://www.lifenews.com/2013/01/22/woman-behind-roe-v-wade-im-dedicating-my-life-to-overturning-it/>> [24.10.2016]

ნუხილველად უნდა დაეტოვებინა. ამასთან, აბორტის კონსტიტუციური უფლების ჭრილში განხილვა მცდარია. როგორც სკალია ამბობდა, კონსტიტუციაში ამის შესახებ საერთოდ არაფერი წერია. მიზანშენონილი იქნება, თუ აბორტის, როგორც ნაყოფის სიცოცხლის ხელყოფის, საფუძვლები კანონმდებლობით განისაზღვრება. ასეთი გარემოებები შეიძლება იყოს: დედის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხე, ჩანასახის ძლიერი ავადმყოფობა/განვითარების დასრულების შეუძლებლობა (რათა ნაყოფის ინტერესიც დაცული იყოს); ასევე, ორსულობის გამომწვევი ისეთი გარემოებები, როგორიცაა გაუპატიურება, ან კონტრაცეპტიული საშუალებების უმოქმედობა (რათა დედის ლირსება და თავისუფლებაც იყოს დაცული). ზემოხსენებულ გარემოებებს კი თავისთავად შესაბამისი ექსპერტი უნდა ადგენდეს. აღნიშნული არა სასამართლოს, არამედ საკანონმდებლო ორგანოს მოსაწესრიგებელი საკითხია.

ბლექმანის ტრიმესტრული სტანდარტი სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით უნდა გადაიხედოს, ვინაიდან ნაყოფი, მიუხედავად ასაკისა და დედის სხეულს გარეთ მისი გადარჩენის შესაძლებლობისა, მაინც სიცოცხლისუნარიანია, რამდენადაც მას ადამიანად განვითარების პოტენციური, თუმცა რეალური უნარი აქვს. გარდა ამისა, სხვადასხვა კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ნაყოფს სიცოცხლის უფლება აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობს კონსტიტუციის გრამატიკული განმარტება. შესაბამისად, აბორტის ოპერაციის ჩატარებისას, ანუ ფეტუსის სიცოცხლის უფლების შეზღუდვისას, „შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის“ პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული. ამ მხრივ, ჯეინ როუს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აბორტისათვის გაუმართლებელ საფუძვლად უნდა შეფასდეს, ვინაინ ადამიანმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, შეუძლია თუ არა მშობლის, ე.ი. სამართლებრივი გარანტის, პასუხისმგებლობის ტვირთვა და შესაბამისად, დაორსულებამდე აირჩიოს მისი პრევენცია. აბორტი მხოლოდ ზემოხსენებული გარემოებების გამო უნდა იყოს დაშვებული და არა „კაპრიზების“ დასაკმაყოფილებლად. ასევე, როუმ უკვე იპოვა თავისი მდგომარეობიდან გამოსავალი და ბავშვი გააშვილა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასამართლიანი გადაწყვეტილება

ცვარიანი, სირბილაშვილი, საქმე — „როუ უეიდის წინააღმდეგ“
მიიღო. აბორტი არა ხელსაყრელი არჩევანით, არამედ უკიდურესი
აუცილებლობის მდგომარეობითაა გამართლებული.